საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკვლისიბაზე ესაძაგლესია.

ორშაბათი, 14 ნოემბერი. 2022 წ. №174 (9512) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი



ფეხზე დაგიდგები, ჩემო საქართველო!

უფლისციხესთან

უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის, — დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

მე დავინახე სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,
თოთხმეტი ციხე ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

მშვენიერია ორ-ზღვას-შუა კავკასის ხედი
და კითხვა: „ვინ ვის“ ბებერ გულში ლახვრად მაჩნია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!

* * *

ჯიხვი — ქარაფზე ხტის,
ბუზს არ აიფრენთ, ქედებო!
კავკასის ფონტის ფირს
ძირს ჩაკიდულხართ, ხედებო!
მე რომ სიკვდილი მჭირს,
ხომ შენგნით, ჩემო ედემო?!
ამბავს წაუღებთ ვის,
თქვენ, ფრინველებო ღვთის
— წითელფეხება მტრედებო?!
ლხინში ავხირდები — ჩრდილში გაგიდგები
ჩემთვის ვაჩხაკუნებ ფანდურს სანატრელო,
ჭირში — დაგიტკბები, ბევრს არ დაგპირდები —
ფეხზე დაგიდგები, ჩემო საქართველო!!!

100

დღეს, 15 საათზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში (V სართულზე), ეროვნული აკადემიისა და საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თაოსნობით, გაიმართება დიდი ქართველი პოეტის და საზოგადო მოღვაწის მშრმან ლებანიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

მიგრანტების რიგი თბილისში ტელეფონის ნომრის ასალებად.

იხ. 5 გვ.

საბაზრო ეკონომიკა და ომი

მაინც რა გავლენას ახდენენ რუსეთის მოქალაქეები საქართველოს ეკონომიკაზე?!

ფაქტები — უკომენტაროდ...

③

კაცის კაცები ერთმანეთის დაერივნენ

„ბევრი ნაგავი გამოქონავს — გაირკვევა, სააკაშვილი საქართველოში ვინ ჩამოიყვანა და არ არის გამორიცხული, კეზერაშვილსაც გერმანიის პოლიციამ ბრალი წაუყენოს“

რისთვის ვართ მზად?

ბირთვული და რადიაციული

⑥ **გამოწვევები საქართველოსთვის**

ისე ვთესოთ სიყვარული, ვით თესავდა მაცხოვარი...

გადაწყვეტს ხალხის სატკივარს ალმა მავალი მთავრობა!

რუსთაველის დაგადეგის ४०० წლისთავის აღნიშვნის შემდეგ მალევე აზრად მომივიდა შოთასთვის მიმეძღვნა ४००-სტრიქონიანი პოემა. განხორციელება რომ ვერ შევძელი, 14 წლისამ ४०० ძირი ვაზის რქით გავაშენე ვენახი.

მოგვიანებით კი საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილზე დიმიტრი გარამაშვილისგან შევიძინე ზუსტად ४०० კვ. მ მიწა, და იქ ახლებურად გავაშენე რუსთაველის სახელოვნის ვენახი, დიდი პოეტის იუბილე ჩემებურად ასე აღვნიშნე მეურნეობის გამოყოფილ „კოსტაფის“ ფართობზეც, სადაც მივიღე მრავალი თვალსაჩინო სტუმარი, მათ შორის პრემიერ-მინისტრები, პარლამენტის თავმჯდომარე და ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

ვაზს მივუძღვენი არაერთი ლექსი იმგვარად, რომ ვაზიც ავალაპარაკე.

ვაზი გამძლე ვარ გვალვისა, ეს ჩემი ფესვის არსია,
როგორც ვენახი კაცისთვის ცხოვრების შინაარსია,
ამაყად დავძენ, ნაღდია, აქ არაფერი ფარსია,
ვაზის და ღვინის ქვეყანა კვლავ აყვავების ღირსია,
აყვავება და მზეობა ვაზისაც დედაარსია.

შემწამლე, პაპავ, დროულად, ჭრაქმა არ მახლოს ხელიო,
გულით თუ გვინდა დაგვიდგეს ბარაქიანი რთველიო,
ახალი წელი გავხადოთ განვითარების წელიო,
რადგან მეკვლეა სიკეთე, აღორძინებას ველიო,
ვაზი ვარ, მაგრამ მეცა ვარ კაცის ჭირისა მშველიო.

რქაწითელი ჯიშით ლაღობს, შემიდგი გვერდში სარიო,
შემოვეხვევი შვილივით, ვეღარ გადამტეხს ქარიო,
გამიფხვიერეთ ფესვები, ავაღორძინო ზვარიო,
რომ სიამაყით ვატარო სამშობლოს დროშის ტარიო,
მტერსა ვძლიო უდიერსა, არ შეგვეყაროს შარიო.

იხ. 7 გვ.

ასი ათასი ქართველი მოწამის ხსენება

13 ნოემბერს ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მოვლენას, რწმენისა და სამშობლოსათვის საოცარ თავდადებას აღვნიშნავთ — ამ დღეს, თითქმის 800 წლის წინ, ასი ათასი ქართველი სარწმუნოების დაცვას შეეწირა, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ წერს.

„ჩვენი გმირი წინაპრების ხსოვნა საუკუნეთა განმავლობაში განსაზღვრავდა ჩვენი ხალხის სულიერ ღირებულებებს, განამტკიცებდა ჩვენს რწმენას, და ასე იქნება მუდამ. გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს — ასი ათასი ქართველი მოწამის ხსენებას.

* * *

...1225 წელს ხვარაზმელთაგან „რჩეული“ სულთანი ჯალალედინი თბილისისკენ დაიძრა... ეს იყო უსაშინლესი სისხლიანი დღე ქართლის ცხოვრებაში. თბილისის ქუჩები და მდინარე მტკვარი გვამებით იყო სავსე, სისხლის მდინარეს წაელეკა ქალაქი.

სულთანმა სიონის ტაძრიდან გამოასვენებინა მაცხოვრის და ღვთისმშობლის ხატები, მტკვარზე გადებულ ხიდზე დაასვენებინა და უბრძანა თბილისელებს „დათრგუნვაი პატიოსანთა ხატთა და დატევებაი სჯულისა“. ვინც ამას არ შეასრულებდა „წარუკვეთა თავთა ელოდა“. ხვარაზმელებმა 100 000 ადამიანი აწამეს. ყოველ წელს, 13 ნოემბერს ქრისტიანები მეტეხის ხიდთან იკრიბებიან, იკითხება სპეციალური ლოცვები, მტკვარში იყრება ათასგვარი ფერადი ყვავილებით შეკრული გვირგვინები... წმინდათა საოხად ინთება სანთლები.

მერის ანგარიში რუსთაველებს

რუსთავის მერმა, ნინო ლაცაბიძემ 2022 წლის ანგარიში ახალგაზრდებს გააცნო. ახალგაზრდებთან შეხვედრაზე ნინო ლაცაბიძემ დეტალურად ისაუბრა განხორციელებულ და დაგეგმილ რეფორმებზე, ასევე იმ პროექტებზე და პროგრამებზე, რომელსაც მერია ახალგაზრდების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს.

მერის 2022 წლის ანგარიშის პრეზენტაციას სტუდენტები, საჯარო სკოლების უფროსკლასელები და ახალგაზრდა რუსთაველი მცირე მეწარმეები ესწრებოდნენ. შეხვედრა ინტერაქტიურ რეჟიმში წარიმართა, ნინო ლაცაბიძემ ახალგაზრდების მიერ დასმულ ყველა კითხვას უპასუხა.

განათლების, სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობა, ეს ის თემები იყო, რომელთა მიმართაც რუსთაველმა ახალგაზრდებმა განსაკუთრებული დაინტერესება გამოხატეს. ნინო ლაცაბიძემ დეტალურად ისაუბრა იმაზე, თუ რა გააკეთა რუსთავის მერიამ აღნიშნული სფეროების განვითარების ხელშეწყობისთვის და სამომავლოდ რას გეგმავს.

უსამშობლო და უინტელექტო ოპოზიცია ბრუნდება ტაკიმასხარა შალიკოს ბუნაგში - ფანჩატურში

ამ ნაძირალებს საქართველო ფეხებზე ჰკიდიათ!

კელი დეგნანმა, იან კელიმ, სვენ მიქსერმა და ვიოლა ფონ კრამონმა განა არ იციან საკაკაშვილი არჩევნებს ტოტალურად რომ აყალბებდა? ან, ნაციონალების ჯოჯოხეთიდან ბიძინა ივანიშვილმა რომ გვიხსნა და გაგვანთავისუფლა?

ან, გარეწარი კეზერაშვილის კოლოსალური მასშტაბის თაღლითობები განა არ იციან?, მაგრამ, სამწუხაროდ საკაკაშვილის ცხრაწლიანი უბოროტესი მმართველობის მიმართ ევროპარლამენტარებს კრიტიკული დამოკიდებულება არასდროს გამოუხატავთ და ოლიმპიური სიმშვიდით აღიქვამდნენ ნაციონალების უსასტიკეს და გაუგონარ ძალადობას. საქართველოს მიმართ აგრესიულად განწყობილი ევროპარლამენტარები უტიფრად ითხოვენ დებიძინიზაციას და კრიმინალთა პოლიტპატიმრებად შერაცხვას და განთავისუფლებას.



თავის საფიცარ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა ბატონმა ბიძინამ საკუთარი 3 მილიარდ დოლარზე მეტი დაახარჯა ხალხის კეთილდღეობას. სწორედ ამიტომაც უზომოდ უყვარს საღად მოაზროვნე საქართველოს მოსახლეობას ივანიშვილების სამაგალითო ოჯახი და შორსმჭვრეტელი ხელისუფლება.

ომარ მარგველაშვილი

ახალგაზრდები „კოლხური ტყეების და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ მმართველ სტრუქტურაში დასაქმდნენ

UNESCO-მ „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ პოპულარიზაციის და ეკოტურიზმის განვითარების მიზნით, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან და დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდთან თანამშრომლობით, ახალი პროექტი დაიწყო, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის მართვის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა წარმოადგენს, — ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში, 20 ადგილობრივი ახალგაზრდა, უშუალოდ ჩაერთო UNESCO-ს უბნის მართვის პროცესში. ახალგაზრდები „კოლხური ტყეების და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ მმართველ სტრუქტურაში დასაქმდნენ, რათა დაცული ტერიტორიების მართვის სპეციფიკას გაეცნონ, დაეხმარონ რეინჯერებს ყოველდღიური მოვალეობის შესრულებაში, მათ შორის, ბილიკების კეთილმოწყობაში, ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობაში, ბუნების დაცვა-შენარჩუნებასა და მონიტორინგში. აღსანიშნავია, რომ პირველად საქართველოს ისტორიაში, 2021 წელს, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხას, „კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სტატუსით, საქართველოს 4 დაცული ტერიტორია შეემატა. კოლხეთისა და მტირალას ეროვნული პარკები და ქობულეთისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიები.

ისევ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის და კრიმინალის ცვენა!..

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს და 6 პირი დაიკავეს, — ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.ხ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო 2 ცეცხლსასროლი იარაღი.

ამავე ბრალდებით 1985 წელს დაბადებული ლ.კ. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დაიკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ლენტეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1999 წელს დაბადებული რ.რ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

პოლიციამ რ.რ.-ის მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „აკს“-ის და „აკმ“-ის მოდელების ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები, 2 მჭიდი და 30 ვაზნა.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1959 წელს დაბადებული ზ.ბ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელ სახლში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „აკს 74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე, გამომშრალი „მარიხუანა“.

1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ე.ხ. გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო რევოლვერი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად — 1962 წელს დაბადებული გ.შ. დააკავეს. მას ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა.

სამართალდამცველებმა გ.შ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას რევოლვერი და 3 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ევროპელ „ლიბერალთა და დემოკრატთა“ ულტიმატუმი

დავუშვათ და, ხელისუფლებამ გაათავისუფლა გვარამია და ზედ სააკაშვილიც მიაყოლა... ამით არაფერი შეიცვლება!

...**როგორც** უკვე აღვნიშნე, გროვდება იმის ნიშნები, რომ ევროკავშირი არ აპირებს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას, ვიდრე აქ მისთვის სასურველ ხელისუფლებას არ ნახავს.

ამის კიდევ ერთი დასტურია პარტია „ლიბერალთა და დემოკრატთა ალიანსი ევროპისთვის“ (ALDE) გავრცელებული განცხადება, სადაც ისინი ულტიმატუმის ფორმით მოითხოვენ ხელისუფლებისგან და მმართველი პარტიისგან 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების შესრულებას და ღია ტექსტით აცხადებენ, რომ „ეს არის გზა ევროკავშირის კანდიდატობისკენ“. ეს მაშინ, როდესაც კარგად იციან, რომ „ქართული ოცნება“ გავიდა ამ შეთანხმებიდან.

ისინი ასევე ულტიმატუმის ფორმით ითხოვენ ნიკა გვარამიას გათავისუფლებას და მას ფაქტობრივად პოლიტპატიმრის სტატუსს ანიჭებენ. ეს განცხადება არის ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტის 8 ნოემბრის რეზოლუციის გაგრძელება. ტექსტს აშკარად ეტყობა ქართული კვალი და ხელწერაც. როგორც ჩანს, არ უნდათ, რომ მუხტი ჩაქრეს.

დავუშვათ და საქართველოს ხელისუფლებამ გაათავისუფლა გვარამიაც და ზედ სააკაშვილიც მიაყოლა. გახდება ეს კანდიდატის სტატუსის მინიჭების წინაპირობა? რა თქმა უნდა, არა! იმიტომ, რომ ქვეყანას, რომელსაც პოლიტპატიმრები ჰყავდა, არაფერი ესაქმება ევროკავშირში და მან ხანგრძლივი გამოსაცდელი პერიოდი უნდა გაიაროს „გამოსასწორებლად“.

სად არის გარანტია, რომ ხვალ პატიმრობაში მყოფი სხვა ოდიოზური ფიგურა არ შერაცხონ პოლიტიკური მართლმსაჯულების მორიგ მსხვერპლად, მერე კიდევ სხვა და ა.შ.

მოკლედ, არც სიტუაციის დრამატიზებას ვაპირებ და არც მის გამარტივებას.

ასეთია მოცემულობა ევროკავშირთან მიმართებაში და რა უნდა გავაკეთოთ, ამ რეალობაში ამაზე ხალხმა, საზოგადოებამ და ელიტებმა იმსჯელონ...

ზაალ ანჯაფარიძე

კაცის კაცები ერთმანეთს დაერივნენ

„ბევრი ნაგავი გამოჭონავს - გაირკვევა, სააკაშვილი საქართველოში ვინ ჩამოიყვანა და არ არის გამორიცხული, კეზერაშვილსაც გერმანიის პოლიციამ ბრალი წაუყენოს“

ბრძოლა ძალაუფლებისთვის, გავლენებისთვის თუ პარტიის წართმევისთვის? რატომ გამოუცხადა ნიკა მელიას ომი პარტიის წევრთა ნახევარმა, რომლებმაც, ფაქტობრივად, ნაცების თავმჯდომარეს ულტიმატუმი საპრეზიდენტო ბიბლიოთეკიდან წაუყენეს და ახალი არჩევნების დანიშვნა მოსთხოვეს.

ირაკლი ნადირაძეს და „ნაციონალური მოძრაობის“ რეგიონების ხელმძღვანელებს მეტი ლეგიტიმაციით არჩეული თავმჯდომარე, უფრო მოქნილი და აქტიური პარტია უნდათ და გამოსავალს ახალ არჩევნებში ხედავენ. პარტიის წევრების ნაწილისთვის და თავად მელიასთვის ეს განცხადება მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან ე.წ. აჯანყებულები პარტიაში თათბირზე უნდა შეკრებილიყვნენ. მათ კი მოულოდნელად ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს.

კიდევ ერთი მთავარი პრობლემა, რის გამოც ნადირაძე მელიას შეცვლას ითხოვს, სააკაშვილის გასათავისუფლებლად პარტიის მოქმედი ხელმძღვანელობის უმოქმედობაა. სწორედ ამიტომ იყო მისი მხრიდან სააკაშვილის ბიბლიოთეკა შერჩეული.

მოთხოვნიდან მალევე, პარტიაში ნადირაძეს მომხრეები გამოუჩნდნენ, მელიას კი მოწინააღმდეგეები. „ნაციონალური მოძრაობის“ გარკვეულმა წევრებმა არ დამალეს და საჯაროდ განაცხადეს, რომ პარტია დეზორიენტირებულია და ცვლილებებს საჭიროებს. ისიც დაკონკრეტეს, რომ პარტიაში ახლა ნამდვილად არსებობს შიდა წინააღმდეგობები, რაც არჩევნების, ახალი თავმჯდომარისა და მის გარშემო კონსოლიდაციით უნდა დალაგდეს.

„ნაციონალური მოძრაობის“ მეორე ნაწილი, თანაპარტიელების განცხადებებით უკმაყოფილოა. განსაკუთრებით იმ ფაქტით, რომ პრობლემაზე არა პარტიის შიგნით მოხდა მსჯელობა, არამედ საჯაროდ. უკვირთ, ზოგიერთი თანაგუნდელის დღევანდელი აქტიურობაც.

„ნაციონალური მოძრაობის“ ახალი თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით, პარტიის სხვა, უკვე ყოფილი წევრები აქამდეც საუბრობდნენ, გამოდიოდნენ შიდაპრაიმერისის ინიციატივითაც. ამბობდნენ იმასაც, რომ პარტია დაცლილია პოლიტიკისგან. ბოლო ერთი თვის განმავლობაში, პარტია ამ მიზეზით ორმა წევრმა — **ნიკა ობოლაძემ** და **ნონა მამულაშვილმა** დატოვა.

პარტიის წევრების ნაწილი ამ პროცესებში ფარულ ხელს ხედავენ, თუმცა არც ერთი მათგანი არ აკონკრეტებს ვინ დგას ამ პროცესების მიღმა, თუმცა კულუარულად არავინ მალავს, რომ ეს ყოფილი თავდაცვის მინისტრი **დავით კეზერაშვილია,** რომელიც მიხეილ სააკაშვილის დაკავების შემდეგ, პარტიის მართვის სადავეების ხელში აღებას ცდილობს.

პარტიის ერთ-ერთი წევრი ყვება, რომ **სავარაუდოდ, მელიას ლევან ხაბეიშვილით ჩაანაცვლებს.** უკვე დიდი ხანია ის კეზერაშვილის კაცად ითვლება და არაერთხელ მელიასა და ხაბეიშვილს შორის, როგორც სიტყვიერი ასევე, ფიზიკური დაპირისპირებაც კი მოხდა. ამ ყველაფერს კი დროში ძალიან ემთხვევა ტრანსნაციონალური დანაშაულის გახსნა, რომელზეც საქართველოს პროკურატურასთან ერთად, გერმანიის და ორი სხვა ქვეყნის სამართალდამცველები მუშაობდნენ, ხოლო დაკავებულ ადამიანებს შორის კეზერაშვილის ერთ-ერთი პარტნორია. სავარაუდოდ, კვალი ე.წ. ქოლცენტრების ირგვლივ კეზერაშვილისკენ მიდის. არ არის გამორიცხული, რომ პარტიაში მოულოდნელად დაწყებული აჯანყება ამ თემის გადასაფარად იყოს დაწყებული ან კეზერაშვილი ჩქარობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რაც შეიძლება სწრაფად ჩაიგდოს ხელში.

ნადირაძეს და მის მხარდამჭერებს პარტიის თავმჯდომარემ ნიკა მელიამ სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე უპასუხა: **„ვიყავი მზად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, ვარ და ვიქნები“.**

მისივე თქმით, მისმა თანაპარტიელებმა ნაჩქარევი განცხადება გააკეთეს, რომელსაც **„როგორც ჩანს, შორსმიმავალი მიზნები აქვს“.**

„თუ რა გახდა რეალური მიზეზები და მიზანი ამ საკითხის ასე ნაჩქარევად, ამ ფორმით, ასე მოუმზადებლად გამოტანისა, ამას უახლოესი პერიოდი აუცილებლად მოჰფენს ნათელს და განსაკუთრებით დღეს, როდესაც ჩვენ ძალიან ბევრი უნდა გვესაუბრა ევროპარლამენტის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე პოლიტპატიმრებთან მიმართებაში - ვგულისხმობ მიშა სააკაშვილს და ნიკა გვარამიას.

თვენახევრის წინ, მე პირადად გამოვედი ინიციატივით პარტიაში ახალი არჩევნების ჩატარების თაობაზე, მათ შორის იმ ადამიანების თანდასწრებით, რომლებიც დღეს დილიდან საუბრობენ არჩევნების ჩატარების თაობაზე. თანხმობა არჩევნების ჩატარებაზე იყო ყველა ჯგუფის მხრიდან. ერთადერთი მსჯელობის საგანი რჩებოდა პირველ რიგში ის, რომ როდის და როგორ უნდა ჩატარებულიყო. თუ ჩემთვის რაიმე კომფორტულია, ეს არის არჩევნები და მასში მონაწილეობის მიღება — იქნება ეს გარე თუ შიდა ტიპის.

„ნაციონალური მოძრაობა“ ყოველთვის იყო ღია და საჯარო არჩევნების ჩატარების მომხრე. მსურს, ყველამ იცოდეს — ვიყავი მზად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, ვარ და ვიქნები მით უფრო, როცა ძალიან ბევრი მაქვს სასაუბრო სიმართლის თაობაზე საკუთარი პარტიის ამომრჩეველთან“...

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** ამბობს, რომ ნიკა მელიას პოლიტიკური დაკნინება პარტიაში მოხდა მაშინ, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოში, კობა ნაყოფია, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები შეიყვანეს. ამით ნიკა მელია დე ფაქტო ნომინალური თავმჯდომარედ იქცა. დაპირისპირება ახალ ფაზაში შევიდა და ეს გასაკვირიც არ იყო. ანალიტიკოსი ამბობს, რომ პარტიაში არსებულ უთანხმოებაზე ხმები გარეთ ისედაც გამოდიოდა. ამიტომ მოვლენები ახლა როგორც ვითარდება, მოსალოდნელი იყო.

„ბუნებრივია, ლევან ხაბეიშვილი დამოუკიდებელი მოთამაშე არ არის. ის გაქცეული ოლიგარქის, დავით კეზერაშვილის ნება-სურვილით და ფინანსებით იმართება. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს და გერმანიის პროკურატურის მეშვეობით ტრანსნაციონალური დანაშაული გაიხსნა, სადაც კეზერაშვილის ხელი პირდაპირ ურევია, ეს, პარტიის შიგნით დაწყებული „აჯანყებაც“ დროში უცბად დაემთხვა. ნიკა მელიას ირგვლივ შავი ღრუბელი დიდი ხნის წინ მოგროვდა და ენმ-ის მარტივ მამრავლებად დაშლა გარდაუვალია.

რაც შეეხება ბოლო დღეებში ოპოზიციაში მიმდინარე ძვრებს და ე.წ. დიდი გაერთიანების იდეას, რომლსაც გიორგი ვაშაძე, გიორგი ჯაფარიძე და ხოშტარია აყენებდნენ, ვფიქრობ, ეს ყველაფერი ისევ კეზერაშვილთან არის დაკავშირებული. ამ სამივეს კეზერაშვილი აფინანსებს და ესეც, როგორც ჩანს, მელიას ჩასაძირად იყო მოფიქრებული, ან ანკესი, რომელიც გადაუგდეს და მელია არ წამოეგო. მიუხედავად ამ „ტროიკის“ ამბიციებისა, მათ როგორც არ უნდა იაქტიურონ, პოლიტიკურ სივრცეში 2%-იანი რეიტინგით სარგებლობენ“, — ამბობს აბაშიძე.

მისივე თქმით, დიდი ალბათობით, უახლოეს მომავალში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ერთმანეთს საჯაროდ კომპრომატებით ბრძოლას დაუწყებენ. აქ ყველაზე საინტერესო კი იმ კარტების გახსნა იქნება, რეალურად, ერთი წლის წინ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში რატომ ჩამოვიდა.

„ველი, რომ გაირკვევა რეალურად სააკაშვილი საქართველოში ვინ ჩამოიყვანა, ვინ მოატყუა, რომ აქ ასიათასიანი აქციები დახვდებოდა და ის ციხეში ერთ კვირასაც არ იჯდებოდა. ეს კარტები გაიხსნება და ბრძოლა წესების გარეშე წავა. კეზერაშვილს სურვილი აქვს, რომ ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრდეს, მაგრამ ვერანაირად ვერ გაკეთილშობილდება. მას არაერთი დანაშაული აქვს საქართველოში ჩადენილი და არ არის გამორიცხული, გერმანიის პოლიციამაც ბრალი წაუყენოს. ასე რომ, სანახაობა მგონია უფრო წინ გვაქვს. შესაძლოა, ენმ-ის ხელში ჩაგდებას ამიტომაც ჩქარობს“, — ამბობს აბაშიძე.

ლიკა ბერიკაშვილი

ლადო პაპავა: რუსეთის ალტერნატიული დერეფნის ამოქმედება, რომელიც აზერბაიჯან-საქართველოზე გაივლის, აქტუალური ხდება

საქართველო ძალიან დაინტერესებულია ჩინური ტვირთების ტრანზიტით, მაგრამ აქ მთავარია დამოკიდებულება აშშ-სა და ჩინეთს შორის, — მიიჩნევს აკადემიკოსი **ლადო პაპავა.** საქართველოს კარგი ურთიერთობა აქვს ჩინეთთან, ასევე ამერიკა საქართველოს უმნიშვნელოვანესი პარტნიორია...

„აშშ-სა და ჩინეთს შორის არის სავაჭრო ომი და პრობლემა ის არის, რომ რამდენად იქნება აშშ პოზიტიურად განწყობილი იმაზე, რომ ჩინური ტვირთები წამოვიდეს ამ მიმართულებით?! თუ აშშ-ს სურს, რომ საერთოდ შეზღუდოს ჩინეთთან ურთიერთობა და ჩინეთს შეექმნას ეკონომიკური პრობლემები, აშშ ამას არ მიესალმება.

ჩვენთვის აშშ ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეალური სტრატეგიული გარანტორია. აქედან გამომდინარე, საქართველო ძალიან რთულ მდგომარეობაშია. ჩვენ ჩინეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ვაფასებთ ჩინეთის ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან მიმართებაში, ეს პრინციპულია.

მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთი არის დღეს ძალიან სერიოზული პოტენციალის მქონე ტვირთების გამგზავნი“, — აცხადებს პაპავა.

არსებულ ვითარებაში აკადემიკოსი მიწოდების ალტერნატიული გლობალური ჯაჭვების შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ აბრეშუმის გზის განახლებული ვარიანტის გაძლიერების საკითხი უფრო აქტუალური გახდა.

„მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზაფხულში ვიზიტები თურქმენეთში, უზბეკეთსა და ყაზახეთში. მნიშვნელოვანი იყოს ურსულა ფონ ლაიენის ვიზიტი ბაქოში, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში. ამ ყველაფერში მკაფიოდ იკვეთება, რომ რუსეთის ალტერნატიული დერეფნის ამოქმედება, რომელიც აზერბაიჯან-საქართველოზე გაივლის, ხდება სულ უფრო და უფრო აქტუალური.

ყაზახეთმა შემთხვევით არ განაცხადა, რომ 3 მლნ ტონამდე გაზრდის ნავთობის ტრანზიტს საქართველოზე. ეს ძალიან დიდი პერსპექტივას იძენს“...

„ეს ჯაჭვი შეიძლება შემდგომ გაგრძელდეს და გამოყენებული იქნეს ჩინეთისთვის. თუმცა ამის გადაწყვეტაში საქართველო მარტო ვერ იქნება“, — ამბობს პაპავა.

მისივე შეფასებით, ის გადაწყვეტილებები, რაც საქართველოს მთავრობამ ეკონომიკური კუთხით მიიღო, „შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტურად სწორია“.

„საქართველო არ არის ომში ჩართული. საქართველოს აქვს ეკონომიკური ზრდა. თუნდაც ეს ერთჯერადი იყოს, როგორც ზოგიერთი უცხოელი ექსპერტი ამბობს, ესეც რომ არ იყოს, მაღალი ინფლაციის პირობებში ჩვენი მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი იქნებოდა“, — განმარტავს პაპავა.

„თუ რუსეთი უკრაინაში დამარცხდა, მას არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიიდან მოუწევს წასვლა, არამედ შუა აზიის ქვეყნებიდანაც“...

თენგიზ ფხალაძე: სამხრეთ კავკასიაში კრემლს პოზიციები ჯერ არ დაუკარგავს!..

რუსეთი სამხრეთ კავკასიას კარგავს. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განთავსება სომხეთში ამის ერთ-ერთი ნიშანი შეიძლება იყოს. პარალელურად, სომხეთში იზრდება უკმაყოფილება რუსეთის მიმართ, რადგან სომხებს მიაჩნიათ, რომ რუსეთმა ისინი გადააგდო და აზერბაიჯანის სასარგებლოდ გადაწყვიტა ყარაბაღის პრობლემა. „თუ სომხეთს სურს ვაშინგტონის გზის არჩევა, აირჩიოს“, — პრეზიდენტ პუტინის ხმაში დათმობითი ნოტები გამოერია.

პუტინს სხვა გზა არ აქვს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში დომინანტი რუსეთი იყო, ის იყო მთავარი მონოპოლისტი დაპირისპირებული მხარეების მოლაპარაკების პროცესში, დღეს კი გლობალური მოთამაშეები ეცილებიან რუსეთს სამხრეთ კავკასიას — ამერიკა, ევროკავშირი, თურქეთი, ირანი, ჩინეთი. ევროკავშირი აცხადებს, რომ სამხრეთ კავკასია მისი მეზობელია, ამიტომ ამ რეგიონში სიმშვიდე მისი პირადი ინტერესია. სადაც ევროკავშირი სამხრეთ კავკასიის მეზობლად თვლის თავს, რა გასაკვირია, რომ თურქეთი და ირანი, როგორც უახლოესი მეზობლები, თავად ცდილობენ გაზარდონ გავლენები სამხრეთ კავკასიაში და აქ გარეშე დამსწრე, ანუ რუსეთი სრულიად ზედმეტია.

მით უმეტეს, სამხრეთ კავკასიამ ძალიან კარგად იგემა, რა მოუტანა რუსეთის დომინანტობამ რეგიონს — ოკუპირებული ტერიტორიები, გაყინული კონფლიქტები. შემთხვევითი არ არის, რომ ლავროვი ყოველნაირად ცდილობდა რუსული სისხლიანი ხელწერის „წაშლას“ სამხრეთ კავკასიიდან და ამტკიცებდა, რომ თითქოს „მოსკოვს სურს, სამხრეთ კავკასია მშვიდობის ზონად გადაიქცეს“. კარგავს თუ არა რუსეთი სამხრეთ კავკასიას? პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** ფიქრობს, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ტენდენციაზე შეიძლება ვისაუბროთ, რომ რუსეთი პოზიციებს კარგავს სამხრეთ კავკასიაში, თორემ მთლიანობაში ამას ვერ ვიტყვით, როგორც მომხდარ ფაქტს. სამწუხაროდ, რუსეთი ჯერ არსად წასულა სამხრეთ კავკასიიდან.

„სულ ახლახან ირანის წარმომადგენლობის მხრიდან საინტერესო განცხადება გაკეთდა, რომ სამხრეთ კავკასიის პრობლემები მხოლოდ რეგიონალურმა ძალებმა უნდა გადაწყვიტონ — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანის და რუსეთის მონაწილეობით. ეს ნიშნავს, რომ რუსეთს უკვე ირანის მხარდაჭერა გარანტირებული აქვს. ამიტომ დღეს უკვე განაჩენის გამოტანა უფრო ცოცხალი დათვის გატყავებას ჰგავს. სამხრეთ კავკასიის დაკარგვის ტენდენციები რუსეთისთვის ნამდვილად არის, ზუსტად ამ ჭრილში შეფასდა ალიევის ვიზიტი საქართველოში. იმ ექსპერტის თუ პოლიტოლოგის ნათქვამი, რომელიც დაბეჯითებით ამტკიცებს, რის შესახებ ილაპარაკეს თუნდაც იმავე ალიევმა და ღარიბაშვილმა, არაფერს ნიშნავს. თუ იმ მოლაპარაკების მაგიდის ქვეშ იჯდა ვინმე, კი ბატონო, იმას დავუჯერებ. ჯერჯერობით შეიძლება ტენდენციები ჩანდეს, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიიდან გავა, მაგრამ ეს ბევრად იქნება დამოკიდებული რუსეთ-უკრაინის ომის შედეგებზე. თუ უკრაინაში რუსეთი დამარცხდა, მას არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიიდან მოუწევს წასვლა, არამედ, აგრეთვე, შუა აზიის ქვეყნებიდანაც“, — აცხადებს სოსო ცინცაძე ჩვენთან საუბრისას.

რაც შეეხება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყოფნას სომხეთში, პოლიტოლოგი განმარტავს, რომ ევროკავშირის მისიები ჩვენ საქართველოშიც გვინახავს, ამიტომ მათ „ეფექტურობაზე“ რაღაც წარმოდგენა გვაქვს. ამდენად, საეჭვოა, ევროკავშირის მისიამ შეძლოს რუსეთის ჩანაცვლება კავკასიაში. თუ რუსეთს ისეთი ძალა შერჩება, როგორიც დღეს კიდევ აქვს შერჩენილი, რუსეთი ფეხს არ მოიცვლის სამხრეთ კავკასიიდან. ის ფაქტი, რომ სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მოლაპარაკებები სოჭში შედგა, ნიშნავს, რომ პუტინმა ჩაიყვანა თავისთან ალიევიც და ფაშინიანიც და საკუთარი ძალა ყველას დაანახა.

ბრიუსელის საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ევროპული ცენტრის ECIPE-ის უფროსი მკვლევარი, ჯიპა-ს ასოცირებული პროფესორი თენგიზ ფხალაძე აცხადებს, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესებმა და იქ რუსეთის უკან დახევამ რეალურად შეასუსტა რუსეთის პოზიციები სამხრეთ კავკასიაში. ამის პარალელურად, სამხრეთ კავკასიაში იზრდება თურქეთის, ევროკავშირის, შეერთებული შტატების როლი.

„ჯერჯერობით რუსეთს პოზიციები არ დაუკარგავს სამხრეთ კავკასიაში ისე, როგორც გვინდა, მაგრამ ტენდენცია აქეთკენაა. უკვე საუბარია ევროკავშირის მისიაზე, მაგრამ სამხრეთ კავკასიაში ძალიან დიდია არა მხოლოდ ევროკავშირის ჩართულობა, არამედ ყოველდღიურად იზრდება შეერთებული შტატების ჩართულობაც“, — დასძენს თენგიზ ფხალაძე.

მანანა ნოზაძე

საქართველო ნავთობის ტრანზიტის სამ მარშრუტშია, რომლებსაც ყაზახეთი განიხილავს

ყაზახეთი აგრძელებს მოლაპარაკებებს აზერბაიჯანთან ნავთობის ტრანსპორტირებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციის საკითხებზე, განუცხადეს INTERFAX-ს ყაზახეთის ენერგეტიკის სამინისტროს პრესსამსახურში.

„ამჟამად ენერგეტიკის სამინისტრო სს NC KazMunayGas-თან ერთად საექსპორტო მიმართულებით ნავთობის ტრანსპორტირების დამატებით მარშრუტებს ავითარებს. კერძოდ, განიხილება ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანის მიმართულებით (აქტაუ-ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, აქტაუ-ბაქო — სუფსა, აქტაუ-ბაქო-ბათუმი)“ — აცხადებენ პრესსამსახურში.

„ექსპორტიორებისთვის ამჟამად, კასპიის მილსადენის კონსორციუმი არის ეკონომიურად ყველაზე ეფექტური მარშრუტი ყაზახური ნავთობის ექსპორტისთვის. დამატებითი მარშრუტების განვითარების განხილვა დამოკიდებული იქნება მათ პოტენციალზე, ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე და სხვა დაკავშირებულ, მათ შორის ტექნიკურ ფაქტორებზე. ასევე ყაზახეთში ნავთობის მოპოვების ზრდის გათვალისწინებით“, — განმარტავენ სამინისტროში.

ოქტომბრის ბოლოს, აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ელნურ სოლტანოვმა განაცხადა, რომ ქვეყანა ელოდება ყაზახეთიდან ნავთობის გარანტირებულ მოცულობებს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გავლით.

ზაფხულში, KazMunayGas -ის ეკონომიკისა და ფინანსური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დაურენ კარაბაევმა განაცხადა, რომ ყაზახეთი აწარმოებს მოლაპარაკებებს ნავთობის ტრანსპორტირებაზე აზერბაიჯანის გავლით. მანვე დააკონკრეტა, რომ ამ მიმართულებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-სუფსის მილსადენების გამოყენება შესაძლებელია.

რუსეთის მოქალაქეები რუსეთ-საქართველოს საზღვარზე. ზემო ლარსი. 2022 წლის 28 სექტემბერი

რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის მონაცემებით, წლის მე-3 კვარტალში რუსეთი 9,2 მილიონმა ადამიანმა დატოვა. რუსეთიდან ძირითადად მეზობელ ქვეყნებში გარბიან. თან მიაქვთ ფული და თავიანთი გიზნესიც, რაც ამ ქვეყნების ეკონომიკაზე დადებითად მოქმედებს. თუმცა, სამომავლოდ შესაძლოა სირთულეებიც გამოიწვიოს.

11 ოქტომბერს საერთშორისო სავალუტო ფონდმა გამოაქვეყნა პროგნოზი, რომლის მიხედვითაც, საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მოცულობამ წელს 8,8 პროცენტი

მაინც რა გავლენას ახდენენ რუსეთის მოქალაქეები საქართველოს ეკონომიკაზე?!

საბაზრო ეკონომიკა და ომი

მიგრანტების რიგი თბილისში ტელეფონის ნომრის ასაღებად.

უნდა შეადგინოს. საქართველოს ხელისუფლება ირწმუნება, რომ ეს „ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპის რეგიონსა და ცენტრალურ აზიაში“. ერთვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე იმასაც კი ვარაუდობს, რომ ეს მაჩვენებელი 10 პროცენტს მიაღწევს. შსს-ს მონაცემებით, ჯერ კიდევ მობილიზაციის გამოცხადებამდე საქართველოში რუსეთის 112 733 მოქალაქე შემოვიდა. რადიო თავისუფლების რუსული ბიუროს ჟურნალისტი მარინა აფონოვა თავის სტატიაში „როგორ ააღორძინეს რუსეთიდან წასულებმა სხვა ქვეყნების ეკონომიკა“, ცდილობს გადმოსცეს, რა ვითარება შეიქმნა მიგრანტების გადასახლების შემდეგ საქართველოსა და სხვა ქვეყნებში.

ოქსანას ყავის სახლი

32 წლის ოქსანა, რომელიც ომამდე ნოვოსიბირსკში ყავით ვაჭრობდა, ახლა თბილისშია და დღე-დღეზე ყავის სახლს გახსნის.

„ჩემთვის და ჩემი ქმრისთვის ნებისმიერი ომი მიუღებელია. უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ, როგორც კი პირველმა შოკმა გადაგვიარა, მაშინვე წასვლა გადავწყვიტეთ. არჩევანზე დიდად არ გვიწვალია. საქართველო ორივეს გვიყვარს, აქ თაფლობის თვე გავატარეთ. ჩავაწყვეთ ბარგი, საბუთები გავაფორმეთ და 21 მარტს ბილეთები ავიღეთ, ერთი მიმართულებით“, – ჰყვება ოქსანა.

მისი ქმარი IT სპეციალისტია, მუშაობს დისტანციურად, ამიტომ საქართველოში სამსახურის შოვნა არ დასჭირდა. თავად ოქსანამ ყავით ვაჭრობა გადაწყვიტა, რადგან მას თბილისში ყველაფერი მოსწონს მანიკურის სპეციალისტების და ყავის გარდა.

„თბილისში ყავა დიდი პრობლემაა. სულ ორიოდე ადგილია, სადაც კაპუჩინოს ისე დალევ, არ დაიჯღანები. კარგი სერვისიც იშვიათობაა. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ყავით ვაჭრობის საქმე კარგად წავა. კიდევ თბილისში ძალიან კარგი წყალია, პირდაპირ ონკანიდან შეგიძლია დალიო. კარგი წყალი კი კარგი ყავის საწინდარია.

გამიმართლა და მოსკოველ გოგონას შევხვდი, ისიც ჩვენსავით ომს გამოექცა. დესერტების პროფესიონალია. გადავწყვიტეთ, ყავის სახლი ერთად გავაკეთოთ. არ გვინდა იაფფასიანი და მასობრივი პროდუქტი გამოგვივიდეს. ჩვენთვის მთავარი ხარისხი და სიყვარულის ატმოსფერაა. საქართველო ახალგაზრდა, შეყვარებული ხალხის სამშობლოა. აქ განვითარების ძალიან კარგი საშუალებაა. რაც მთავარია, მართლაც თავისუფლები ვართ. შეგვიძლია რაც გვინდა ის ვაკეთოთ და რასაც ვფიქრობთ, ის ვთქვათ. შექმენი, განვითარდი, მიზნესი განავითარე, ყველა გზა ხსნილია. 5 წუთში დარეგისტრირდები კერძო მეწარმედ, თან ყველაფერი ერთ ფანჯარაში კეთდება. მაშინვე ხვდები, რომ სასურველი სტუმარი ხარ. საბუთების ქართულად შევსებაც არ არის სავალდებულო, ინგლისური ვარიანტიც აქვთ“.

ოქსანამ ყავის სახლისთვის შენობა იქირავა, გაარემონტა, ავეჯი შეუკვეთა, საფირმო სტილიც შეიმუშავა. ყავის აპარატები და სხვა მოწყობილობაც აიღო ლიზინგით. ორ კვირაში სტუმრებს მიიღებენ.

„ქართულ მენტალიტეტთან შეგუება გაგვიჭირდა. საქართველოში ხომ არავინ არსად ჩქარობს, ყველა ცხოვრებით ტკბება. თუ შეუძლიათ, რომ საქმე ხვალისთვის გადადონ, გადადებენ. თავიდან ამისთვის შეუმზადებელი აღმოვჩნდით, მაგრამ როგორც კი დავმშვიდდით, ყველაფერი გამოვიდა. რაც საქართველოში ვარ, თავადაც დავწყნარდი. ბევრჯერ გამომიჭერია თავი იმაში, რომ აღარსად გავრბივარ. შემიძლია აივანზე ჭიქა ყავით ვიჯდე და ღრუბლები ვათვალიერო, არ ვიდარდო, რომ სადღაც მეჩქარება და ჩემ გარეშე ყველაფერი დაიქცევა. საქართველომ თავისი სიბრძნე გამიზიარა. ქართულ სტუმართმოყვარეობაზე კი ლაპარაკიც არ არის საჭირო – ეს ამ ქვეყნის ნამდვილი ბრენდია.

იმედი მაქვს, რუსეთიდან დევნილები ორგანულად შეეერწყმებით ქართულ საზოგადოებას და საქართველო ჩვენი მეორე სამშობლო გახდება. ჩვენ დასაბრუნებელი არსად გვაქვს და ძალიან მადლობელი ვარ, რომ აქ ახლობლებივით მიგვიღეს“.

პლატფორმა რუსული პრობლემების მოსაგვარებლად?

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მონაცემებით, წელს ქვეყანამ რუსეთიდან ფულადი გზავნილებით, ტურიზმით და საქონლის ექსპორტით დაახლოებით 2,2 მლრდ აშშ დოლარი მიიღო. ეს 2021 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 2,6-ჯერ მეტია.

მარტიდან სექტემბრის ჩათვლით საქართველოში 9,500-მდე რუსული კომპანია დარეგისტრირდა, რაც 2021 წლის სრულ მაჩვენებელსაც კი 10-ჯერ აღემატება. იანვარ-სექტემბერში რუსეთიდან იმპორტი 73%-ით გაიზარდა და 1,2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

„მნიშვნელოვნად გაზრდილი რუსული საქონლის იმპორტი, ფულადი გზავნილები და საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მიერ კომპანიების დაფუძნება ზრდის რისკს, რომ საქართველო რუსეთზე დაწესებული სანქციების გვერდის ასავლელად იყოს გამოყენებული“, – აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ კვლევაში.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთის მოქალაქეების მიგრაციას საქართველოში მოკლევადიანი პოზიტიური ეფექტი აქვს. იზრდება სამომხმარებლო ბაზარი, მაგრამ არის მეორე მიმართულებაც, მიგრანტები საქართველოში რუსული პრობლემებისმოგვარებას ცდილობენ, მაგალითად: **„ახლა რუსეთში უცხოური მანქანების ნაწილები არ შედის. საქართველოში სულ თავისუფლად შეიძლება შექმნა და ალბათ იქმნება კიდეც პლაცდარმები, სადაც შემოიტან ავტონაწილებს, დაასაწყობებ და მერე რუსეთში წაიღებ“.**

გია ხუხაშვილის თქმით, ამით ქვეყანა რუსულ ეკონომიკაზე ხდება დამოკიდებული და თან გამოდის, რომ საქართველოც რუსეთის მხარეს დგას ომში, რადგან მას სანქციებისთვის თავის არიდებაში უწყობს ხელს.

„გარდა ამისა, ეკონომიკური ექსპანსია და მიგრაციაც ოკუპაციის ფორმაა. მომიყვნენ შემთხვევების შესახებ, როცა რუსეთის უშიშროებამ რუსეთის მოქალაქეები უკვე აქ, თბილისში „დაავერბოვკა“. ეუბნებიან, ჩვენთვის იმუშავე, თორემ რუსეთში ვეღარ დაბრუნდებითო. ეს სახელმწიფოს უსაფრთხოების თემაა. ღმერთმა არ ქნას და, თუ უკრაინაში რუსეთმა წარმატებას მიაღწია, მეორე დღესვე ჩვენ „მოგვხედავს“. ამისთვის მას ინფრასტრუქტურა უკვე გამზადებული აქვს“.

რა ხდება სხვა ქვეყნებში

საქართველოს გარდა რუსეთის მოქალაქეები მასობრივად გადასახლდნენ ყაზახეთში, სომხეთში, თურქეთში.

ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ ჟომართ ტოყაევმა ოქტომბერში განაცხადა, რომ რუსეთიდან ყაზახეთში 50 საერთაშორისო კომპანია გადაბარგდა. ამავე ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა კი აღნიშნა, რომ რიგში კიდევ 300 კომპანია დგას. ასევე ყაზახეთში თავისი ბიზნესის გადატანა სურთ რუსულ კომპანიებსაც.

რუსეთიდან მიგრირებული ხალხის გამო 13-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდას ელოდებიან სომხეთში. ArmInfo/Fin port წერს, რომ შემოდგომამდე სომხეთში რუსეთის 100 ათასამდე მოქალაქე ჩავიდა. დარეგისტრირდა 300 მსხვილი კომპანია რუსული კაპიტალით და მცირე ბიზნესის 2500 სუბიექტი.

რუსეთის მოქალაქეებმა სომხეთის ბანკებში რეკორდულად დიდი თანხა ჩადეს. **თუკი თებერვალში არარეზიდენტებზე 12,7 ათასი ანგარიში მოდიოდა, აპრილში მათი რიცხვი უკვე 33,3 ათასი იყო. სომხეთის ბანკები ახლა არნახულ შემოსავალს ელიან. წლის პირველ ნახევარში მათი სუფთა მოგება 280 მილიონ დოლარამდე იყო, სამჯერ უფრო მეტი, ვიდრე წინა წლის ანალოგიურ პერიოდში.**

ძალიან ბევრი მიგრანტი ჩავიდა თურქეთშიც, ის ნატოს ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც რუსეთის წინააღმდეგ სანქციები არ შემოუღია. რუსული ანკლავები შეიქმნა სტამბოლში, ანტალიაში, ალანიასა და მაჰმუთლარში. ომის დაწყების დღიდან რუსები თურქეთში ყოველდღიურად 34 მინას ყიდულობდნენ. უკვე სექტემბერში მინებზე მოთხოვნა რუსების მხრიდან 127,2 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 2021 წლის ამავე პერიოდში. მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ კი მოთხოვნა კიდევ რამდენჯერმე გაიზარდა.

თეა თოფურია,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

გაიზარდა მოთხოვნა ქართულ პასპორტებზე!

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დასავლეთში ვეღარ გაემგზავრებიან

აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელები ევროკავშირს „მსოფლიოში გადასაადგილებლად“ საკუთარი პასპორტების აღიარებას სთხოვენ მას შემდეგ, რაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემული რუსული პასპორტები შენგენის ზონაში აიკრძალა. იგივე ვითარებაა ცხინვალშიც.

ჩაკეტილ წრეში აღმოჩნდა ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებთა ის ნაწილი, რომელმაც საზღვარგარეთის პასპორტი, ადგილზე, რუსეთის უკანონო საელჩოებში აიღო. მათ აღარ აძლევენ შენგენის ვიზას და, შესაბამისად, აღარც ევროკავშირის ქვეყნებში შეუშვებენ. არადა, გული მათ აშკარად დასავლეთისკენ მიუწევთ - შვილებს იქ ასწავლიან, მშობლები, და-ძმები, მეგობრები იქ ჰყავთ.

რას უპასუხებს სოხუმს ევროკავშირი?

9 ნოემბერს, როცა სოხუმში ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესის თანათავმჯდომარეებს ხვდებოდა, დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ირაკლი ტუჟუმ ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს – ტოივო კლაარსა და გაეროს წარმომადგენელს, ჯიჰან სულთანოღლუს აკრძალულ პასპორტებსა და „მსოფლიოში გადაადგილების თავისუფლების“ შეზღუდვაზეც ჩამოუგდო ლაპარაკი.

„ამ კონტექსტში აქტუალური ხდება აფხაზეთის ერთვნული პასპორტების აღიარება მსოფლიოში გადასაადგილებლად გამოსადეგ დოკუმენტებად“, – ასეთია ტუჟუას პოზიცია, რომლის გამყარებასაც კოსოვოსთან დაკავშირებული მაგალითით ცდილობს და გადადგილების თავისუფლებით „ჰუმანიტარული კრიზისის დაძლევაზეც“ ამახვილებს ყურადღებას.

იხ. 11 გვ.

ბირთვული და რადიაციული გამოწვევები საქართველოსთვის

უკრაინაში რუსული აგრესიისა და ბირთვული მუქარის ფონზე, 8-9 ნოემბერს თბილისში გაიმართა საერთაშორისო ფორუმი „შავი ზღვის რეგიონის ბირთვული და რადიოლოგიური უსაფრთხოების“ თემაზე. რადიო თავისუფლება შეეცადა გაერკვია, არის თუ არა საქართველო მზად პოტენციურ თუ რეალურ საფრთხეებთან გასამკლავებლად.საქართველოში ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირება და რეგულირება არაერთ უწყებას აკისრია. არსებობს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოც, რომელსაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური თავმჯდომარეობს.

ვინ აკონტროლებს საფრთხეებს?

რადიაციული საფრთხეების შემცირება და ინციდენტების გაკონტროლება გარემოს დაცვის სამინისტროს „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს“ ფუნქციაა. ეს სააგენტო მართავს რადიოაქტიური ნარჩენების საცავსა და სამარხსაც.

სააგენტოსთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, რადიაციულ, ქიმიურ, ბიოლოგიურ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირება შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმაც უნდა მოახდინოს.

დაცვისა და რეაგირების საშუალებები – რა გვაქვს?

რადიაციულ ინციდენტებზე რეაგირებისთვის საქართველოს აქვს:

„მაღალი გამავლობის ავტომობილები, სპეციალური მისაბმელებით, სადაც განთავსებულია აღჭურვილობა ისეთი ფორმით, რომ მორეაგირემ შეძლოს მისი სწრაფად გამოყენება;

პირადი დაცვის საშუალებები, თანამედროვე უახლესი, სასუნთქი გზების დაცვის საშუალებები;

დეტექტირების და იდენტიფიცირების საშუალებები;

„დეკონტამინაციის“ (მომშხამავი აირებისგან, ან სხვა მავნე ნივთიერებებისგან განთავისუფლება ან ნეიტრალიზაცია) აღჭურვილობა.

„დეკონტამინაციის“ აღჭურვილობა გვაქვს როგორც ლოკალური, მცირე მასშტაბისთვის, ასევე შესაძლებელია მასობრივი დაბინძურების შემთხვევაში მოვახდინოთ მასობრივი „დეკონტამინაცია“. დაახლოებით, 1 საათში ჩვენ შევძლებთ 60-მდე დაზარალებულის „დეკონტამინაციას“, – თქვა ინციდენტებზე რეაგირების სამმართველოს უფროსმა მალხაზ ლაგურაშვილმა ბირთვული უსაფრთხოების ფორუმზე.

საიდან აქვს საქართველოს ტექნიკური აღჭურვილობა?

საქართველოს ტექნიკურ უზრუნველყოფაში აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტო (DTRA) დაეხმარა. წლების განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა აღჭურვისა და შესაბამისი წვრთნების და ტრენინგების პროექტი.

შსს-ს წარმომადგენლის თქმით, საქართველომ DTRA-ს პროექტის მეშვეობით მიიღო „დეკონტამინაციის“ პირველი აღჭურვილობა.

რა წერია ეროვნულ სტრატეგიაში?

საქართველოს მთავრობამ გასულ წელს დაამტკიცა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების 2021-2030 წლების ეროვნული სტრატეგია. დოკუმენტი 2014 წლიდან იქმნება და „საკანონმდებლო მაცნეშია“ გამოქვეყნებული. სტრატეგია აღწერს ბირთვულ საფრთხეებზე მზადყოფნისა და რეაგირების კუთხით მიმდინარე გამოწვევებს, საჭიროებებს, პრევენციის გზებს. მათ შორისაა:

„საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში სამედიცინო რეაგირების გეგმების შემუშავება;

ცოდნის მუდმივი განახლების მიზნით სწავლებებში შესაბამისი უწყებების ყველა დონის წარმომადგენლების ჩართვის აუცილებლობა;

ბუნებრივი რადიაციული ფონის სრულყოფილი მონიტორინგის არარსებობა, რაც განპირობებულია ადამიანურ და ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებული სირთულეებით;

ადრეული შეტყობინების სისტემის, ავტომატური მონიტორინგის ქსელის გაფართოება;

რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ობიექტების ერთ ლოკაციაზე განთავსება;

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე – საკმაოდ მაღალი რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ტრანზიტის რისკი;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკონტროლო სიტუაცია ბირთვული მასალების, რადიოაქტიური წყაროების და მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტების უკანონო ტრანსპორტირების მხრივ;

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი“.

საზოგადოების ინფორმირება და მზადყოფნა – რა გვჭირდება?

„თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში სამოქალაქო საბჭოს“ დამფუძნებელი შორენა ლორთქიფანიძე რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ სახელმწიფოს საფრთხეებზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია აქვს, მაგრამ მოსახლეობამ უფრო მეტი უნდა იცოდეს.

„(სახელმწიფო) ნაკლებს ლაპარაკობს, რათა პანიკა არ შექმნას. მეორეს მხრივ, არც ევროპული ჟურნალ-გაზეთებია აჭრელებული რადიაციაზე ლაპარაკით. რასაკვირველია, ჩვენ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ რეალური საფრთხის დადგომის შემთხვევაში იქნება სწრაფი რეაგირება, დროული ინფორმაციის მიწოდება ტელევიზიით, მობილური აპლიკაციით“. ევაკუაციის დროს თავშესაფრების არსებობაზე დასმულ კითხვაზე იგი ამატებს: „სამალავები არის, მაგრამ მგონი, არცერთი არაა ისეთ მდგომარეობაში, სადაც შეიძლება, დაიმალო“.

გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი ვახტანგ კაპანაძე ბირთვული საფრთხის გასამკლავებლად მზადყოფნაზე დასმულ კითხვაზე პასუხად ამბობს, რომ ვერ ხედავს საქართველოში დაცვის გამართულ მექანიზმებს:

„კი ბატონო, შეიძლება გამოყენებულ იქნას თბილისის მეტრო თავშესაფრისთვის, მაგრამ სხვა ქალაქებმა, სხვა რეგიონებმა რა უნდა ქნან? ამის გარდა, მოსახლეობის ცნობიერება უნდა ამაღლდეს, როგორ მოიქცეს რადიაციული საფრთხის დროს. ასე რომ, იმედი ვიქონიოთ, მსგავსი რამ არ მოხდება, სანამ ჩვენ მოვემზადებით“.

რამდენად მაღალია ბირთვული ან რადიაციული საფრთხე?

უკრაინაში ოდესის ბირთვული გაუვრცელებლობის ცენტრის ხელმძღვანელის, პოლინა სინოვეცის თქმით, (საფრთხის შემცირებისთვის) ერთადერთი გამოსავალია აშშ-ის მიერ რუსეთის შეკავების მტკიცე სტრატეგია. მეორე მხრივ, იგი აღნიშნავს, რომ ბირთვული იარაღი ყოველთვის იყო პოლიტიკური შანტაჟის იარაღი, პოლიტიკური მანევრი.

„ბირთვული იარაღის გამოყენება გამოიწვევს ბირთვულ ზამთარს, ტერიტორიის რადიაციით დაბინძურებას. ამას გავლენა ექნება არა მხოლოდ იმ ქვეყანაზე, რომელიც სამიზნეა, არამედ იმაზეც, ვინც გამოიყენებს ამ იარაღს, განსაკუთრებით რუსეთს. ჩვენ ყველაზე დიდი საზღვარი გვაქვს რუსეთთან. ჯარები კი ამ საზღვარზე არიან განაწილებული. თუ თეორიულად რუსეთი ასეთ იარაღს გამოიყენებს, ეს გავლენას მოახდენს რუსეთის მოსახლეობაზეც. ეს პუტინის იმიჯს არ წაადგება.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ბირთვული იარაღი რუსეთისთვის უკანასკნელი ვარიანტია. რეალურად, არავის არ სურს მისი გამოყენება. მათ ჯერ კიდევ იმედი აქვთ, რომ ამ ბირთვული შანტაჟით ბევრს მოიგებენ, ნატოს ყურადღებას მიიქცევენ, რომ „კარგი, ბიჭებო, თუ კარგად არ მოიქცევით, ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება...“, მაგრამ ჯერ მაინც ეს არის რუსეთის პოლიტიკური ინსტრუმენტი“, – ამბობს პოლინა სინოვეცი.

ვახტანგ კაპანაძის მოსაზრებით, ბირთვული საფრთხე, უკრაინაში რუსეთის წარუმატებლობასთან ერთად იზრდება, თუმცა, ჯერჯერობით, ამის რეალობაში განხორციელების შესაძლებლობა არაა: **„თუკი გამოყენებული იქნება ბირთვული იარაღი, არ იქნება ის ტაქტიკური ბირთვული იარაღი, ვინაიდან არაფრის მომცემი იქნება ეს რუსეთისთვის. თუ გამოიყენებს, გამოიყენებს ოპერატიულ-სტრატეგიულ იარაღს, დიდი სიმძლავრის, ვინაიდან, საპასუხო ქმედება მისთვის ნებისმიერი ბირთვული იარაღის გამოყენებაზე, იქნება ძალიან მძიმე. ის შეეცდება მაქსიმალურად შოკური, მაქსიმალურად გადამწყვეტი დარტყმა განახორციელოს ბირთვული მუხტით. ამ შემთხვევაში, რადიაციული ღრუბელია თუ კატაკლიზმები, რასაც გამოიწვევს მსგავსი მოქმედება, რა თქმა უნდა, საქართველოსაც და შავ ზღვასაც შეეხება“.**

სტრატეგიის და განვითარების ცენტრის დირექტორი მარიამ თოხაძე რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ არ უნდა მოხდეს არასაჭირო შიშის გამოწვევა მოსახლეობაში, მაგრამ ამასთან, სახელმწიფოები უნდა მუშაობდნენ ვითარების დეესკალაციისთვის. მისივე სიტყვებით, ბირთვული გამოწვევა არის იმგვარი, რომ არავის ინტერესში არაა პოსტფაქტუმ რეაგირება, ყველას ინტერესშია წინასწარ მომზადება, ხოლო საუკეთესო გზა, პარტნიორებს შორის გამოცდილების გაზიარებაა:

„ჩემთვის მნიშვნელოვანია, როგორ ხდება შიშის ინსტრუმენტალიზაცია. ეს წარმატებით შეიძლება მოხდეს მხოლოდ მუქარით... მუქარით დათესილი შიში, შეიძლება, სახელმწიფოს ძალიან ძვირად დაუჯდეს. ამიტომ ერთი, რაც აუცილებლად უნდა კეთდებოდეს, არის საზოგადოებასთან მუშაობა. ხალხს უნდა ჰქონდეს ადეკვატური აღქმა მუქარის რეალისტურობაზე.

სწორ კომუნიკაციაში ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენ არ უნდა შევუწყოთ ხელი უსაფუძვლო შიშების, პანიკის გავრცელებას, მაგრამ, მეორეს მხრივ, არც მარტივ უმნიშვნელო საკითხად უნდა წარმოჩინდეს“, – ამბობს მარიამ თოხაძე.

გვანცა ნემსაძე,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

რუსეთის სკოლებში სამხედრო მომზადების საგანს აბრუნებენ

რუსეთში 1993 წელს გაუქმებული საბჭოთა ეპოქის სკოლის მოსწავლეების სამხედრო მომზადების საგანს აბრუნებენ. საგანი, სხვა საკითხებთან ერთად, კალაშნიკოვის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესწავლასაც ითვალისწინებს.

საგნის სასწავლო პროგრამა მზადდება და იგი მზად 2022 წლის ბოლოს იქნება, შემდეგ კი დამტკიცების პროცესს გაივლის. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგანს მინიმუმ 140 საათი უნდა დაეთმოს.

მოქალაქეობას ჩამოართმევენ... არმიის დისკრედიტაციისთვის

რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა სახელმწიფო დუმას „არმიის დისკრედიტაციისთვის“ პირებისთვის მიღებული მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ კანონპროექტის მიღება შესთავაზა.

დუმამ კანონპროექტში ცვლილებების შეტანა პირველი მოსმენით მიიღო. ცვლილება არმიის შესახებ „ცრუ ინფორმაციის“, მისი დისკრედიტაციის, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მოწოდებების გამო მიღებული მოქალაქეობის ჩამორთმევას ითვალისწინებს.

უცხო ქვეყნის გემებისთვის ქერჩის სრუტეში ჩაიკეტა

როგორც თურქეთის ტრანსპორტის და ინფრასტრუქტურის სამინისტროში განაცხადეს, მათ რუსეთის ფედერაციის საზღვაო ადმინისტრაციისგან ოფიციალური შეტყობინება მიიღეს, რომლითაც აზოვის ზღვაში ქერჩის სრუტის გავლით გადაადგილება აიკრძალა.

აკრძალვის მიზეზებზე საუბარი არ არის. ცნობისთვის, მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს ქერჩის სრუტეზე გამავალ საავტომობილო ხიდზე ტრაილერი აფეთქდა. ამის გამო ხიდი ნაწილობრივ დაზიანდა. რუსეთმა მაშინ უკრაინული სპეცსამსახურები დაადანაშაულა. ქერჩის სრუტის გავლით თურქული გემები აზოვის ზღვაში შედიოდნენ, შემდეგ მდინარე დონით და ვოლგა-დონის არხით მდინარე ვოლგაში გადადიოდნენ და იქიდან კასპიის ზღვაში ჩადიოდნენ, სადაც ტვირთები ჩაჰქონდათ ყაზახეთში, თურქმენეთსა და აზერბაიჯანში.

ომის დიპლომატიური გზით დასრულება შეუძლებელია

გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე რუსეთ-უკრაინის ომის დიპლომატიური გზით დასრულება შეუძლებელია.

მისივე თქმით, მოლაპარაკებების პროცესს რუსეთი აფერხებს, უკრაინა კი დათმობებზე არ უნდა წავიდეს.

„ამ ომის დაწყებით პუტინმა, პირველ რიგში, ხაზი გადაუსვა ყველაფერს, რაც ომამდე მოლაპარაკებების კუთხით მიმდინარეობდა. დიქტატორებმა უნდა გაიაზრონ, რომ დამოუკიდებელ ქვეყნებში შეჭრა არ შეიძლება“, – აცხადებს შოლცი.

დავით აღმაშენებლის მემორიალის სიმბოლური სურათი

გადაწყვეტს ხალხის სატკივარს აღმა მავალი მთავრობა!

(პირველი გვერდიდან)

850 წლის რუსთაველს კი ვუფეშქაშე 50 (ერგასი) წლის მანძილზე საგარეჯოში, თბილისში, სოხუმში, ჩიტაში (ჯარში!), მოსკოვში, კიევში, ლვოვში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, ვაშინგტონში, თელ-ავივში, ანკარაში, ლონდონში, ოქსფორდში, თელავსა და სხვა ქალაქებში დაწერილი ფრაზები, ჯამში 850-სტრიქონიანი პოემა. იხილეთ „ვაზისა და 850 წლის რუსთაველის საუბარი“ და „წუთისოფლის წიგნი“ („ბიბლუსის“ მაღაზიებში), რისთვისაც მომენიჭა ნიკო ნიკოლაძის პრემია.

სახელოვანი მამულიშვილის პრემიამ ისე გამათამამა, რომ პოემიდან ამოვკრიფე ნაწილი სტრიქონებისა, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, და თუ დამეთანხმებით, დაე, სამშობლოს კუთხეები დამშვენდეს წინამდებარე შაირებითაც, **იმ მიზნით, რომ თუნდაც მცირეოდენი წვლილი შევიტანო ჩვენი მომავალი თაობის სულიერად ამაღლებასა და ეროვნული იდეების განხორციელებაში**:

გულს მიხარებს არემარე, მაღლა – ღმერთი საკვირველი,
დიდგორი და ოქროს ხანა, წინაპარი – უძლეველი,
კარგი, ნაღდი მეგობარი, ეკლესია ძველისძველი,
ეშხსა მმატებს შაირები, უშრეტელი, უშურველი.
ნიჭი, გონის საძირკველი – წარმატების საფუძველი!

მწადის, მუდამ ტურფა იყოს არემარე, გზა და კვალი,
ღირსეულად მოიხადოს ყველა კაცმა თავის ვალი,
საკადრისად ფასდებოდეს მარჯვენა და მოსავალი,
რომ ფრიადზე განვითარდეს საქართველოს მომავალი,
გამორჩეული მიზნებით აღვზარდოთ შთამომავალი.

მოსურნე ვარ კვლავაც კარგის: ერსა ჭირი მოჰკლებოდეს,
მტრობა, შური და ქიშპობა ზღვის ქაფივით გაჰქრებოდეს
ერთგულება, სიყვარული მატულობდეს, მყარდებოდეს,
საქართველო გულსახარად ქართველებით მრავლდებოდეს,
წავახალისოთ მოსწავლე, სამაგალითოს ჰყვებოდეს.

სიდუხჭირე მოგვშორდება, არ დავრჩებით უპოვარი,
ნახევრადაც რომ ასრულდეს რუსთაველის სათხოვარი –
ისე ვთესოთ სიყვარული, ვით თესავდა მაცხოვარი,
რომ ჩვენთანაც აღარ იყოს დიდ-პატარა მათხოვარი,
ჰე, თავო, მიჯობს გაწვალო, ჰპოვო რამ გამოსავალი.

გზას დავადექ დავით-გარეჯს, რომ ვეწვიე საგარეჯოს,
კარიბჭესთან წავიკითხე – კაცი ქველად გაისარჯოს,
არასოდეს, არვინ, არსად ბოროტება არა ხარჯოს,
აჯა, მაჯა, ჯაფა, გარჯა გამარჯვებით დაიხარჯოს,
რომ მადლიან ამ მიწაზე ბედკრულ კაცმაც გაიმარჯოს!

შოთას შაირის ცნებითა გრძელ ღამეც მოკლედ თენდება,
მისი მკითხველი ნათლდება, აფორიზმებით მშვენდება,
ქართველი კაცის გონება რადგან ყოველდღე ბრწყინდება,
გავიმეოროთ გმირობა, ერს რომ არაკად აჩნდება,
ოქროს ხანისა შენება, კვლავაც რო დაგვირგვინდება.

ღმერთო, ღმერთო, გევედრები, ბოროტება ყველას სძულდეს,
ავსა სისხლი განეწმინდოს და სიავე დაუსრულდეს,
ქველსა სევდა შენ მოაკელ, მას სიცოცხლე გაუგრძელდეს,
კაცსა კარგი რაცა სურდეს, საწადელი აუსრულდეს,
ჩავეკონები სტრიქონებს, არსი მისი რო ასრულდეს.

ვაჰ, რა კომლები იცლება, ესაა უბედურება,
ამის მიზეზი ერთია – მძლავრობდა უკეთურობა,
ჭირსა ვერ ვმალავ, ვაუღერებ, არაა აქა ხუმრობა,
პრობლემას ხედავს ყოველთვის მოყმე, მოყვარე, მოყვრობა,
ხალხს კი სატკივარს უწყვიტავს აღმა მავალი მთავრობა.

ანდერძადა ვწერ წადილსა, მოწმედა ზეცის თვალია,
ჩვენი ქმედება საჩინო სათვალსაჩინო კვალია,
შორეულ შთამომავლისთვის ნატიფად გასაკვალია,
ნატერფალი კი კაცური, კაცებისათვის ვალია,
წუთისოფელი წუთია, წუთიც წინ მომავალია.

ვაზის პატარა ქვეყნისთვის, დღეს საარაკო ძველია,
თუმცა არაკი ქართველებს შეეფერება გრძელია,
წინაპრებისა ამაგი საოცარ-საკვირველია,
ჟამია, ვნატრობ მეკვლესა, ჰა, მეკვლეც რუსთაველია,
შოთასთვის შვლისა მწვადები წალამზე შესაწველია.

უპირველესო პოეტო, გულს ფიქრი არა ჩერდება,
ჩემგან მოძღვნილი შაირი საჩუქარს შეეფარდება,
მჯერა, პოემა დარჩება, ტკბილადაც დამიბერდება,
გაუათასდეს ბარაქა, ვინაც სიკეთით ირჯება,
კაია მუდამ ქმედება, აზრსა რაც შეეფარდება.

ღმერთმა ქნას, წუთისოფელი დავტოვოთ გამარჯვებული,
ძე და ასული ორთავე ბევრებად გამრავლებული,
ბაღ-ვენახები, ველები ბაღნარად დამშვენებული,
თვალწინ სოხუმში, ცხინვალში ლტოლვილი დაბრუნებული,
ხიდი, სახლ-კარი ნატიფად სასახლედ აშენებული.

ცრემლით მიამბო მოხუცმა: ფეიქარ ვარო მქსოველი,
მარჯვენას მიქებს მრავალი, თითქმის ამ ქვეყნად ყოველი,
მტანჯეს, მაწამეს, მაგრამა ვერა გამხადეს ცხოველი,
დარჩენილ ორ პარასკევში, ურვას კიდევაც მოველი.
დაკნინდეს წამებისათვის კაცი სისხლისა მწოველი.

გაცრუვდეს ხალხში ზე ფრაზა, საზარი გადასავალი,
კაი კი დღესვე გვეღირსოს ჭირიდან გამოსავალი,
ვაშად შევძახოთ, ბრუნდება მოვლენა გარდაუვალი,
ოქროს ხანისა მაგვარი, აღმა სვლა, აღმა მავალი.
გადავუხადოთ სიცოცხლეს ვალი, თავგადასავალი.

ლექსად თქმულ ნატვრის ახდენას იმედით დაველოდები,
არ დავიშუროთ ძალ-ღონე, გადავიყაროთ დარდები,
დავგმოთ აბეზარ აზრები – არროდეს არვის ვბარდები,
ახალგაზრდობას ვუბოძოთ გზად გადაშლილი ვარდები,
გავანუგეშებ ხვაშიადს, მკვდარიც არ გადავგვარდები.

მას ბერმუხად ვადღეგრძელებ, ვინც ქვეყნის ღერძს ისე აწრთობს,
სალტეს უხსნის ტანჯულ გულსა და პირისპირ წყლულსა აქრობს,
დარდს დაფარულს ღიადა მტრობს, გვამხნევებს და სულით გვაწრთობს,
ერისკაცად ვერ ივარგებს, ვინც ჭირის ხსნას ვერა გვარობს.
სვეკეთილად საქებია ქველის საქმეს ვინაც ხარობს.

ვაზის რქები ჩახლართული ჩხებად ავჭერ კაზმულ ხანსა,
ქორწილის ჟამს შვილს ვუბოძე, მემკვიდრეს იმედიანსა,
ვემხიარულე მოყვრებსა, ყოველსა ენაწყლიანსა,
ღმერთმა შეგვასწროს სამშობლოს აყვავებულს და სვიანსა,
დღეებს შევხარი მზიანსა, არ მოგაყენებთ ზიანსა.

ტკბილ მამულის სულს უსმინე, სუნთქვა მისი თავად ნახე,
წინაპრების ნაღვაწარი წაღმა სწორად დაინახე,
ნაფეხური ოქროდ ფასობს, შვილიშვილებს შეუნახე,
გაგვამხნევე, გაგვახარე და შემხიდედ დაგვენახე
საქართველოს განდიდება ახდენილი დაგვანახე!

კაცი ახალსა იძახდეს, სასიხარულო ხდებოდეს,
მეფე დავითი კვარცხლბეკზე ვარსკვლავმაგვარად დგებოდეს,
ეს არ ესმოდეს ყრუდ ქცეულს, ვერარას ვერა ხვდებოდეს,
იმ მოხელესა რა ვუთხარ, დავითით არა ტკბებოდეს,
სამშობლოს ოქროს გვირგვინი ხალხის ხელებში ხმებოდეს.

ვით ვენახს შვენის ვაზები, ალაჩოყი და თარგები,
შაირებსა კი რითმები, ენაწყლიანი, კარგები,
სოფელსაც ასე უხდება წარმატებული დარგები,
სადაც სჩქეფს ტურფა სიცოცხლე, ხვავი, ბარაქა, ნერგები
ვაზების აღზევებისთვის აროდეს დავიკარგები.

გამოგონებით ყამირიც გავხადოთ მოსავლიანი,
ხვალის თაობა უებრო და არამც თვალცრემლიანი,
ყოველი მხარე ქვეყნისა უხვი, სვიანი, მთლიანი,
დაკნინებული სამშობლო – გმირთ სადარ სახელიანი,
დავაშოშმინოთ ლტოლვილი ხნიანი, მრავალწლიანი.

გულგასახარად ვიხაროთ შაირებით და შენებით,
აწ აღგვეწეროს ნატიფად ნაღვაწი ტკბილი ენებით,
პაპის პაპათა მიზნებით, გონებითა და გენებით,
ჩვენებურების ეშხითა, ჩვენ ჩვენი წვლილის ჩვენებით,
შარა ვუმშვენოთ სამშობლოს დაუშრეტელი მშვენებით.

* * *

დაკნინებულია ქვეყანა, რადგან დიდი ნაწილი ოკუპირებულია;

ცრემლიანია საქართველო, რადგან 1,5 მილიონი ადამიანი ცხრა მთას იქითაა გადახვეწილი,

გულდაწყვეტილია საქართველო იმიტომაც, რომ დედაქალაქის მერიამ ჯერჯერობით ვერ გაიმეტა 1000 კვ. მ. მიწა აღმაშენებლისთვის, რომ აღიმართოს 36-წლიანი გმირული მოღვაწეობის აღსანიშნავად 36 კიბის საფეხურიანი მემორიალი – იმ დიდი კაცის დაბადების 950 და გარდაცვალების 900 წლისთავისთვის, ვინც არა მარტო თბილისი, არამედ საქართველო გადაგვარებისგან იხსნა.

სევდიანია საქართველო, რადგან აგრარულ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დიდი ნაწილი უცხოეთიდანაა შემოტანილი...

ეს უტყუარი ფაქტები საკმარისია იმისათვის, რომ ერსაც და მერსაც ყოველდღე შევახსენოთ პრობლემების არსი თუნდაც შაირებით (ვისიც არ უნდა იყოს შაირი), იმისთვის, რომ პრინციპული ცვლილებებით ჩამოვიშოროთ მომძლავრებული ტკივილები და გზა გავიკაფოთ ეროვნული მიზნებისკენ.

გმირ წინაპართა ბილიკზე, ერი რომ მარად ნათობდეს
და მომავალი სულ მუდამ მათ ნამოღვაწარს ამკობდეს,
მთავრობა გვინდა ელვარე, ერსა სატკივარს უქრობდეს
ქვეყნის კი მთავარსარდალი იმდაგვარადა სარდლობდეს,
გლეხი, გლახაკი, მოხელე ახალ ხანასა ხარობდეს,
ერის და მერის ბაგენი ბადაგ ამბებსა ამბობდეს:

შევხართ მარჯვენას, მომავალს, ღვინოსა სურნელოვანსა,
დიდგორს, ერწუხს და ბასიანს, ცხრა აპრილს დიდგულოვანსა,
შემწედ აგებულ ტაძრებსა, უფრორე ათასწლოვანსა,
სამშობლოს მამშვენებელსა, ჭირის მძლევს, დიდსულოვანსა,
აწ, გაუმარჯოს კაცისას სიცოცხლეს სახელოვანსა!

მკითხველო, უმორჩილესად გთხოვ, ვისაც შეგიძლიათ, მიაწოდეთ ეს იდეა ქვეყნის პრემიერს, თბილისის მერს, რათა გამოყონ მიწა და აღვმართოთ 36-საფეხურიანი მემორიალი აღმაშენებლის ღვაწლის აღნიშვნით! ამ წინადადებას პირველი გამოქვეყნებისთანავე მოჰყვა გამოხმაურებები ერის საამაყო შვილებისგან სათაურით „თვალსაჩინო მაგალითი მომავალი თაობებისთვის“ (იხილეთ „საქართველოს რესპუბლიკა“, 2014 წლის 5 დეკემბერი).

58 გამოგონების და 9 წიგნის ავტორი, ღირსებისა და არაერთი ოქროს მედლის მფლობელი, დამსახურებული გამომგონებელი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი მუხლმოდრეკილი გემუდარებით.

როგორც ქველმოქმედი – გამომეხმაურეთ! აღნიშნული მემორიალის მშენებლობას შევწირავ 100 000-ს ლარს.

თამაზ ძვლივიძე,
ტელ.: 599-10-43-18

ბაროკამერები „ენისეი“ და „მანა“, შექმნილი ექსპერიმენტული დიზაინის ბიუროს სპეციალისტების მიერ კრასნოიარსკის ქალაქის ბავშვთა კლინიკურ საავადმყოფოში. 1998 წ

„საბჭოთა ვიაგრა“, „კრემლის აბები“ და საბჭოთა პარამედიცინის სხვა საოცრებანი

შედის და გამოდის... „კრემლის აბი“ ტომსკიდან

1980-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა მედიცინაში ელექტრონული მოწყობილობების დანერგვისთვის გამოიყო 1,5 მილიარდი რუბლი – 2 მილიარდ დოლარზე მეტი, თუ გაზეთ „იზვესტიის“ ოფიციალურ კურსს ვენდობით. ამ თანხის ნაწილი მოხვდა ტომსკში, სადაც სამედიცინო ინსტიტუტისა და ავტომატური მართვის სისტემებისა და რადიოელექტრონიკის ინსტიტუტის მეცნიერები ერთობლივად ჩაერთნენ თანხის „ათვისების“ საქმეში. ერთ-ერთ მათგანს, პროფესორ აგაფონოვს, აზრად მოუვიდა ბრწყინვალე იდეა – შეექმნა პატარა, აბის ზომის მოწყობილობა, რომელიც დაბალ სიხშირეზე გამოსცემდა ელექტრულ იმპულსებს. საბედნიეროდ, რამდენიმე ტრანზისტორის, კონდენსატორისა და პატარა ბატარეის ჩატენვა პატარა გლუვ კაფსულაში უკვე შესაძლებელი იყო.

აგაფონოვმა თავის გამოგონებას „კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სტიმულატორი“ უწოდა და დააპატენტა კიდეც, ოღონდ კონკრეტულად რისი „სტიმულირება“ უნდა მოეხდინა ასეთ სტიმულატორს თავისი სუსტი დენით, დანამდვილებით ვერავინ ამბობდა, თუმცა თავად ელექტრომოწყობილობის გადაყლაპვის ფაქტი გამაოგნებელი იყო. მალევე გავრცელდა ჭორები, რომ ტექნოლოგიის ასეთ სასწაულზე მხოლოდ განსაკუთრებული მდგომარეობის ადამიანებს მიუწვდებოდათ ხელი, რომ ამ აბებით მკურნალობდნენ კრემლის მობინადრეებს. ამიტომაც ეწოდა მოწყობილობას „კრემლის აბები“. პერესტროიკის დაწყებისთანავე, აბი გაიტანეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე, სადაც ერთბაშად 7 ჯილდო მოიპოვა როგორც უნიკალურმა საბჭოთა გამოგონებამ. გაოგნებული ხალხი კი გარს ეხვეოდა და ნერწყვს ყლაპავდა.

სინამდვილეში, კრემლის არცერთ მინადარს ამ აბით არ უმკურნალია. 1991 წლამდე „სტიმულატორი“ გამოიყენებოდა მხოლოდ კლინიკურ კვლევებში, რომლებიც, ფაქტობრივად, უშედეგოდ დასრულდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მეცნიერები დარწმუნდნენ მის შედარებით უვნებლობაში. პაციენტებში აბი რეგულარულად „შედიოდა“ და „გამოდიოდა“, რადგან საკმაოდ გლუვი იყო. თუმცა, ხალხი დარწმუნებული იყო, რომ არსებოდა სასწაულმოქმედი წამალი, რომლის წყალობით სიცოცხლეს იხანგრძლივებდნენ კრემლის ბებერი მობინადრეები და, რომელიც მიუწვდომელი იყო უბრალო მოკვდავებისთვის.

მაგრამ სსრკ-ის დაშლის შემდეგ სამართლიანობა აღდგა: 1993 წლიდან 1996 წლამდე 100 ათასზე მეტი „კრემლის აბი“ გამოუშვეს ტომსკში, ყაზახეთსა და მოსკოვის მახლობლად მდებარე ზელენოგრადში. ეს იყო საოცრად მომგებიანი ბიზნესი: მარტივი მოწყობილობის თვითღირებულება ასჯერ და ათასჯერ ნაკლები აღმოჩნდა საბაზრო ფასზე, მაგრამ გაჩნდა კონკურენცია: ბაზარი წალეკა სხვა შარლატანურმა მოწყობილობებმა, რომლებიც „ყველა დაავადებისგან“ კურნავდნენ ავადმყოფებს. მალე „კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სტიმულატორი“ მოდიდან გადავიდა.

თუმცა მანამდე, მისმა შემქმნელებმა გადაწყვიტეს „აბის“ ექსპორტზე გატანა. „პრეპარატი“ გაიგზავნა აშშ-ში სერტიფიცირებისთვის. ყველაზე გასაკვირი ის იყო, რომ ამერიკელებმა სერტიფიკატი გასცეს – მაგრამ, აღმოჩნდა, რომ მათ „კრემლის აბი“ რეგისტრაციაში გაატარეს არა როგორც წამალი ან სამედიცინო მოწყობილობა, არამედ როგორც... საკვები დანამატი.

„კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სტიმულატორი“ ერთჯერადი გამოყენების საგანი იყო, პაციენტიც ერთხელ იღებდა – როგორც წესი, პირველ იმედგაცრუებამდე. კუჭისა და ნაწლავების გავლის შემდეგ, გამოყენებული აბი უნიტაზის ფსკერზე ეცემოდა. თეორიულად სწორედ აქ უნდა დასრულებულიყო „აბის“ მოგზაურობა, თუმცა, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, გაყიდული აბების რაოდენობამ მევრად გადააჭარბა წარმოებული აბების რაოდენობას...

ფიზიოთერაპია - უკვდავი საბჭოთა ტრადიცია!

რა თქმა უნდა, „კრემლის აბი“ შარლატანური კაზუსი იყო, რომელიც შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ სსრკ-ში ოფიციალურად არსებობდა ფიზიოთერაპია – ნახევრად მეცნიერული მეთოდების ნამდვილი თაიგული, რომელიც, „კრემლის აბებისგან“ განსხვავებით, სსრკ-ში საყოველთაოდ იყო მიღებული. საუბარია ყველა სახის „ულტრამაღალი სიხშირის“ (УВЧ) დასხივებაზე, ელექტროფორეზსა და მაგნიტოთერაპიაზე. ყველა ეს მეთოდი აყვავდა და გაიფურჩქნა იმავე 80-იან წლებში, როდესაც საჭირო გახდა სამედიცინო პროგრესისთვის გამოყოფილი მილიარდ-ნახევარი რუბლის ათვისება.



ამიტომ გვიან სსრკ-ში ყურის ნებისმიერ დაზიანებას ან ტკივილს მკურნალობდნენ მაღალი სიხშირის დენით, ხოლო ელექტროფორეზი გამოიყენებოდა მრავალი წამლის მიღებისას (თითქოსდა, აძლიერებდა მედიკამენტის ეფექტს). გარდა ამისა, პაციენტებს „მკურნალობდნენ“ სპეციალური ტალახით ან ბიტუმით... თუმცა, ყოველივე ეს დღესაც ხდება, რადგან თითქმის ყველა საავადმყოფოში არის ფიზიოთერაპიული კაბინეტი.

ევროპასა და შეერთებულ შტატებში, სადაც ასევე პოპულარული იყო მკურნალობის ეს მეთოდები, მკვეთრად შეიცვალა მიდგომა. მართალია, ფიზიოთერაპია ისევ არსებობს, მაგრამ არსებობს არა ოფიციალური მედიცინის ფარგლებში, არამედ კერძო კლინიკებში, რომლებსაც პრაქტიკაში აქვთ მკურნალობის არატრადიციული მეთოდები. ეს იმიტომ, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებულმა სერიოზულმა კვლევებმა ვერ შექმნა რაიმე სახის ხელშესავლები მტკიცებულება იმისა, რომ „ფიზიოთერაპია“ ეფექტიანად შველოდა პაციენტს. სპეციალისტების ვარაუდით, იშვიათ, გამონაკლის შემთხვევებში, პაციენტს შველოდა არა „ფიზიოთერაპია“, არამედ ე.წ. პლაცებოს ეფექტი.

რა თქმა უნდა, მოიძებნება ათასობით ადამიანი, ვინც ფიზიოთერაპიას დაიცავს, ვინც იტყვის, თუ როგორ უშველა სხივებმა, ელექტროფორეზმა, სამკურნალო ტალახმა და ა.შ. თუმცა, „მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა“ ამბობს, რომ გამოჯანმრთელების შემთხვევების თითქმის 100%-ში პაციენტები ამ პროცედურების გარეშეც გამოჯანმრთელდებოდნენ.

მაგრამ ფიზიოთერაპია კარგია იმით, რომ შეცდომის დაშვება, ფაქტობრივად, შეუძლებელია! ითვლება, რომ ეს პროცედურები არც შველის პაციენტს და არც ვნებს. ამიტომაც, ფიზიოთერაპიის კაბინეტები არასოდეს გაქრება ყოფილი საბჭოთა საავადმყოფოებიდან, მით უფრო ახლა, როცა უკრაინაში შეჭრის გამო დაწესებული სანქციების შედეგად, რუსეთში იწყება მედიკამენტებისა და ძვირადღირებული სამედიცინო აღჭურვილობის დეფიციტთან დაკავშირებული პრობლემები, გასულ საუკუნეში გამოშვებული ელექტრო თუ მაგნიტური ველების გამომსხივებელი მარტივი მოწყობილობები კი, თითქმის არ ფუჭდება ან იოლად რესტავრირდება.

ასეთი მოწყობილობები უხვად აქვს რუსეთის სასჯელაღსრულების სისტემას, რომელიც ინტენსიურად იყენებს მათ. მაგალითად, ფეხბურთელ ალექსანდრ კოკორინს, რომელიც ჩხუბის გამო რამდენიმე წლით მოხვდა ციხეში, აზრად მოუვიდა მიემართა ციხის ექიმისთვის, დახმარებოდა ნატკენი კოჭის მკურნალობაში. მას მაშინვე დაუნიშნეს ელექტროფორეზი. შედეგად, ფეხბურთელმა კანისა და კუნთოვანი ქსოვილის იმგვარი დამწვრობა მიიღო, რომ ტრავმით გამოწვეული ტკივილი დაავიწყდა. ცხადია, ციხე საავადმყოფო არ არის, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ პაციენტების მკურნალობისთვის საჭირო აღჭურვილობა და შესაძლებლობები მალე ციხეებსა და საავადმყოფოებში ერთნაირი იქნება.

სერგეი ტაშევსკი
WWW.RADIOTAVISUPLEBA.GE

საქართველოში უპილოტო-საფრენი აპარატების წარმოება იწყება

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ქართულ-პოლონური კომპანია „დელტა-ვებეს“ უპილოტო საფრენი აპარატების საწარმოს მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა მისული.

ქართულ-პოლონური კომპანია „დელტა-ვებე“ შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ისა და პოლონურ კომპანიას – „ვებე ელექტრონიქსს“ შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა. ამ საწარმოში უპილოტო საფრენი აპარატების წარმოების თემაზე ქართველი და პოლონელი პროფესიონალები ერთად იმუშავებენ. სამხედრო მრეწველობის განვითარების მიზნით, შპს „დელტა-ვებესა“ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა ხელშეკრულებაც, რომელიც რეგიონში პირველი უპილოტო საფრენი აპარატების ტრენინგ ცენტრის გახსნას ითვალისწინებს. ცენტრის პროფესიონალი ინსტრუქტორები თავდაცვის ძალების შესაბამის პერსონალს გადაამზადებენ, – ნათქვამია სამინისტროს ინფორმაციაში.

თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ ივნისში პარლამენტში განაცხადა, რომ წლის ბოლომდე უპილოტო საფრენი აპარატის წარმოება დაიწყებოდა.

სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტაში“ ჯუანშერ ბურჭულაძეს ცენტრის ხელმძღვანელმა, ბრიგადის გენერალმა იოსებ ლოლაძემ სამხედრო მრეწველობის სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებიც გააცნო. „დელტაში“ თავდაცვის მინისტრთან ერთად, მინისტრის მოადგილეები – დავით ჭიჭინაძე და გიორგი ხაინდრავა, ასევე სხვა ოფიციალური პირები იმყოფებოდნენ.

რუსუდან ქოგულია

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 173

გამოიცა „მინდიასა“ და „პირველი სიყვარულის“ კლავირები

10 ნოემბერს, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, ოთარ თაქთაქიშვილის, ორი ოპერის – „მინდიასა“ და „პირველი სიყვარულის“ კლავირების პრეზენტაცია, რომლებიც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით მომზადდა და გამოიცა. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, მუსიკოსები, კონცერტმაისტერები, ოთარ თაქთაქიშვილის ოჯახის წევრები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

შესრულდა ცნობილი არიები ოპერებიდან „მინდია“ და „პირველი სიყვარული“, მოწვეულ სტუმრებს კი საჩუქრად გადაეცათ კლავირები.

კულტურის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, 2015 წლიდან ოპერის თეატრი გამოსცემს ქართველ კლასიკოს კომპოზიტორთა საოპერო ქმნილებების ნოტებს (კლავირი, პარტიტურა, საორკესტრო ხმები). ეს სანოტო მასალა სრული კომპლექტია ოპერების შეუფერხებლად დადგმისთვის საქართველოშიც და უცხოეთშიც, რადგან დართული აქვს ლიბრეტოს, შესავლისა და განმარტებების ინგლისურენოვანი თარგმანი. დღემდე გამოცემულია შვიდი ოპერის ნოტები. ესენია: ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, ვიქტორ დოლიძის კომედიური ოპერა „ქეთო და კოტე“, რევაზ ლაღიძის „ლელა“, ოთარ თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“, „მინდია“, „პირველი სიყვარული“.



ყველა ეს ოპერა მრავალი წლის მანძილზე თბილისის საოპერო თეატრის რეპერტუარში იყო და დღემდე ასეა. ხშირი, მრავალწლიანი გამოყენების გამო ნოტები აღმოჩნდა სავალალო მდგომარეობაში. მით უმეტეს, რომ ჩამოთვლილი ოპერების ნაწილი ან საერთოდ არ იყო დაბეჭდილი, ან გამოცემული იყო მე-20 საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში. ნოტებს დართული ჰქონდა ტექსტის რუსული თარგმანი. ამის გამო სამინისტრომ წამოჭრა საკითხი ქართველ კლასიკოს კომპოზიტორთა საოპერო ლიტერატურის დაცვისა და გადარჩენის შესახებ. სანოტო მასალაზე ზრუნვა და მათი მოწესრიგება დაიწყო 2015 წლიდან, შედგა მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა, გამოცემის რიგითობის დაცვის მიზნით დაიგეგმა წელიწადში თითო ოპერის დაბეჭდვა, შეირჩა შემოქმედებითი ჯგუფი კომპეტენტური მუსიკოსების შემადგენლობით, რომელთა უმეტესობა თავის დროზე მონაწილეობდა ამ ოპერების შექმნის პროცესში, ან მათ სცენურ განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ გეგმის მიხედვით, ახალი რედაქციით გამოიცა შვიდი ოპერის კლავირი, მომზადდა პარტიტურებისა და საოპერო ხმების ელექტრონული ვერსიები.

ეს ხანგრძლივი სამუშაო შეასრულა შემოქმედებითმა ჯგუფმა რევაზ ტაკიძის (გამოცემების მთავარი რედაქტორი), ზაზა აზმაიფარაშვილის (რედაქტორი), მანანა ახმეტელის (შესავალი ტექსტების ავტორი), თამარ ჯაფარიძის (მთარგმნელი), მაია სიგუას (ლიბრეტოს ქართული ტექსტების რედაქტორი), ბესო დანელიას (დიზაინერი), ლევან გოცირიძის (კომპიუტერული მომსახურება), ქეთევან ნოზაძის (ორგანიზატორი) შემადგენლობით.

დიდი რეჟისორი, პედაგოგი და თაობათა აღმზრდელი 100 წლის გასდებოდა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში ლილი იოსელიანის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო, – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

საღამო რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა. დიდი დარბაზის ფოიეში გამოიფინა ლილი იოსელიანის მიერ შექმნილი ჩანახატები და პორტრეტები, რომლებიც აქამდე საზოგადოებისთვის უცნობი იყო. ასევე მოეწყო პრეზენტაცია კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტისა „ლილი იოსელიანი 100“. პროექტი მოიცავს ორ ნაწილს: ლილი იოსელიანის შესახებ შექმნილ წიგნ-ალბომს რომლის ავტორია მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი და ლილი იოსელიანის სტუდენტი დიმიტრი ხვთისიაშვილი და დოკუმენტურ ფილმს.

წიგნ-ალბომში თავმოყრილია დიდი რეჟისორისა და პედაგოგის შესახებ წლების მანძილზე ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები, რეცენზიები, შემოქმედებითი პორტრეტები. აქვე პირველად ქვეყნდება ლილი იოსელიანის საზოგადოებისათვის უცნობი პიესა „ტყე-ღრეში“.

საიუბილეო საღამოზე ასევე გაიმართა დოკუმენტური ფილმის, „ლილი იოსელიანი“, პრემიერა. ფილმის რეჟისორები არიან ლაშა კოტრიკაძე და მანანა კვირკველია. ფილმის გადაღებაში მონაწილეობდა საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფილმში არის უნიკალური კადრები, რომლებიც გადაღებულია სხვადასხვა დროს, მათ შორის – ლილი იოსელიანის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც და იგი თავად საუბრობს თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ლილი იოსელიანმა თავისი საქმიანობით უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარებაში. ერთ-ერთმა გამორჩეულმა რეჟისორმა, პედაგოგმა, პროფესორმა, აკადემიკოსმა და საქართველოს სახალხო არტისტმა გასული საუკუნის 40-იან წლებში საქმიანობა მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაიწყო, სადაც ოთხი სპექტაკლი დადგა. ესენია: „ზღაპარი სიმართლეზე“, „ჩვენ გამოცდები გვაქვს“, „ბამთრის ზღაპარი“ და „მისი მეგობრები“. აღსანიშნავია, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრის დღევანდელ შენობაში 1960-იან წლებში არსებობდა სანკულტურის თეატრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი 1961-1963 წლებში სწორედ ქალბატონი ლილი იოსელიანი იყო. სხვადასხვა წლებში იგი იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დამდგმელი რეჟისორი და გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. ასევე, დგამდა სპექტაკლებს შოთა რუსთაველის სახელობის, რუსთავისა და ქუთაისის თეატრებში.

განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა მის მიერ დადგმულმა სპექტაკლებმა: **„პიგმალიონი“, „რაიკომის მდივანი“, „ფსკერზე“, „ზვავი“, „აურზაური არაფრის გამო“, „ბებერი მეზურნეები“, „ირინეს ბედნიერება“, „მშვიდობის დღესასწაული“** და სხვა. **იგი იყო შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი. ლილი იოსელიანი პედაგოგიურ საქმიანობას 67 წლის განმავლობაში (1947-2014 წლებში) ეწეოდა.**

ლილი იოსელიანს თავიანთ პედაგოგად მიიჩნევდნენ მედეა ჯაფარიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ნოდარ მგალობლიშვილი, ელენე ყიფშიძე, ირაკლი უჩანეიშვილი, ედიშერ მაღალაშვილი და სხვები.

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ლილი იოსელიანის 100 წლის იუბილე თუმანიშვილის სახელობის თეატრშიც აღინიშნა. თეატრის სცენაზე ლილი იოსელიანის ჩაფიქრებული სპექტაკლი, ჰენრიკ იბსენის ,,ჯონ გაბრიელ ბორკმანი“ დაიდგა, რომლის რეჟისორია ამერიკაში მცხოვრები რუმინელი რეჟისორი ადრიან გიურგეა“.

კოკა რამიშვილის პროექტი „ვაკუუმი“ ეროვნულ გალერეაში

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და Window Project-ის ორგანიზებით, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიხსნა კოკა რამიშვილის გამოფენა „ვაკუუმი“.

ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი ესწრებოდა.

კოკა რამიშვილი უახლესი ქართული ხელოვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისი შემოქმედება პოსტსაბჭოთა პერიოდის ურთულესი ძვრების ფონზე ჩამოყალიბდა და თავიდანვე გამოირჩეოდა რეფლექსურობით, რთული კონტექსტის შესატყვისი ფორმებისა და მათი შესაბამისი მედიუმების ზუსტი შერჩევით. ის მკვლევარი მხატვარია და ყოველთვის ორიგინალურ კავშირებს პოულობს კონკრეტულ პრობლემასა და აბსტრაჰირებულ მსჯელობას შორის.

საქართველოსთვის განსაკუთრებით კრიზისულ 1990-იან წლებში კოკა რამიშვილი რეალური პრობლემატიკის არტისტულ ინტერპრეტაციებს მიმართავს. ამ წლებში იქმნება მისი მნიშვნელოვანი პროექტები, დაფუძნებული ისტორიულ ფაქტებზე, რომლებსაც ხელოვანი წინააღმდეგობრივი შინაარსის გზავნილებად აქცევს („ომი ჩემი ფანჯრიდან“, „დიპლომატიური მისიები თბილისში/Pronostic Eventuel“ და ა.შ.).

„ვაკუუმი“ რთული, უხილავ ფსიქოემოციურ აქცენტებზე აგებული ექსპოზიციაა და მიუხედავად იმისა, რომ ახალ ნამუშევრებთან ერთად წინა წლებში განხორციელებული რამდენიმე პროექტის მოტივი იყრის თავს, ის არ გულისხმობს რეტროსპექტულ ფორმატს.

როგორც თავად ავტორი ამბობს, ამ გამოფენაზე მუშაობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინტიმურობის ატმოსფეროს შექმნა, რაც განსაკუთრებით მძაფრად გადმოიცა ვიდეოინსტალაციაში „ადამიანები სიყვარულის განცდისას“. გამოფენა 2 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება

CHRISTIES'S აუქციონზე ქართველი მხატვრის ტილო გაიყიდა

ამერიკაში მოღვაწე ქართველი მხატვრის დევის პოლ ქეის (დავით ხაბურძანიას) ნახატში Christies's აუქციონზე ყველაზე სოლიდური თანხა გადაიხადეს.



დავით ხაბურძანია

ხელოვანის ნამუშევარი სახელწოდებით „უპირობო სიყვარული“ 10 000 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. როგორც მხატვარი გვამცნობს, მიღებული თანხა „Arms Around the Child“ – ფონდში გადაირიცხება, შიდსით დაავადებული ბავშვების სამკურნალოდ.

პოლ ქეის ნამუშევრები ნიუ- იორკში, ლოს-ანჯელესში, პარიზსა და დუბაიში მრავალრიცხოვანი ჯგუფის შოუებში შედის. მისი მხატვრობით კერძო კოლექციონერები და მსოფლიოს ცნობილი გრენდები მუდმივად ინტერესდებიან.

წარმატებები ვუსურვოთ კიდევ ერთ აღიარებულ ქართველ ხელოვანს, ქველმოქმედსა და ბავშვების ქომაგს.

◎ მუნდიალი – 2023

გეიზერების ქვეყნიდან აზია გამოჩნდა

გაისად მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატს ფილიპინები, იაპონია და ინდონეზია უმასპინძლებენ, სადაც დამოუკიდებლობის პერიოდში პირველად გამოსვლის რეალური შანსი ევრობასკეტების ხუთგზის მონაწილეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს გაუჩნდა.

ისლანდია - საქართველო 85:88
(17:26, 21:19, 25:15, 22:28)

ისლანდია: ფრიდრიქსონი – 19 ქულა, 2 მოხსნა, 6 ზუსტი პასი (33 წუთი), სტეინარსონი – 16, 3, 2 (33), ჰაინასონი – 15, 10, 2 (30), იონსონი – 13, 1, 3 (20), ბიორნსონი – 9, 2, 0 (17), გუდმუნდსონი – 8, 9, 3 (24), აკოქსი – 5, 6, 6 (24). ითამაშეს აგრეთვე ოლაფსონმა, პალსონმა და ჰიარტარსონმა.

მწვრთნელი: რუნე პედერსენი (კანადა).

საქართველო: შენგელია – 27, 11, 4 (33), სანაძე – 13, 1, 1 (24), მაკფადენი – 12, 4, 5 (37), შერმადინი – 10, 11, 1 (30), ბერიშვილი – 9, 3, 0 (15), ცინცაძე – 7, 2, 4 (15), ანდრონიკაშვილი – 6, 2, 1 (13), ჯინჭარაძე – 2, 2, 1 (18), ბოქოლიშვილი – 2, 1, 0 (3). ითამაშა აგრეთვე ბექაურმა.

მწვრთნელი: ილიას ზუროსი (საბერძნეთი).

ბევრს შეიძლება უხეშ შედარებად მოეჩვენოს, მაგრამ მასპინძლები ისეთივე სწრაფ კალათბურთს თამაშობენ, როგორსაც იაპონელები – რაგბის. სწორედ ტემპიანმა იერიშებმა, აგრეთვე ჩრდილოელთათვის დამახასიათებელმა ზუსტმა სამქულიანებმა და სამაგალითო ბრძოლისუნარიანობამ მოაპოვებინა კუნძულელებს პირველ ჯგუფურ ეტაპსა და მეორის სტარტზე რამდენიმე ხმაურიანი გამარჯვება და აქცია ჩვენი გუნდის მთავარ კონკურენტად მუნდიალის მესამე საგზურისთვის ბრძოლაში.

მერე რა, რომ მათ ესპანურ ლიგა ენდესაში მოთამაშე ლიდერები – ჰერმანსონი („ვალენსია“) და ბიარნასონი („ოვიედო“) აკლდათ – ამით არც ტაქტიკური მონახაზი შეცვლილა და, რაც მთავარია, არც რომელიმე ღირსებას დამუქრებია რამე, მაგრამ...

დიახ, სწორად მიხვდით ალბათ – ჩვენ გვყავს შენგელია, რომელმაც ორიოდე დღით ადრე „ბოლონიას“ მიერ ევროლიგაში „მილანის“ ძლევაში შეიტანა სოლიდური წვლილი, შემდეგ პარტნიორებთან შეერთება მოასწრო და ბოლოს „ჯვაროსნებს“ აზიისკენ გაუძღვა.

დიახ, დიდწილად სწორედ ასეთი კაპიტნის დამსახურებაა, კერკეტი კაკალი რომ გავტეხეთ, თუმცა ნურც დანარჩენ სტუმრებს დავუკარგავთ იმ მნიშვნელოვან წვლილს, შეხვედრის სხვადასხვა პერიოდებში რომ შეიტანეს სტრატეგიული თვალსაზრისით ყოფნა – არყოფნის ტოლფას წარმატებაში. ეს განსაკუთრებით ბერიშვილზე ითქმის, რომელმაც კრიტიკულ ვითარებაში – 60:68-ზე ჟანგბადის ბალიშის სადარი სამქულიანები ჩააგდო, აგრეთვე ანდრონიკაშვილზე. რაც შეეხება ცინცაძეს, იგი მალევე დაიტვირთა საჯარიმოებით, ხოლო შერმადინმა და სანაძემ, ტრადიციისამებრ, ბოლო წამებზე გაჩაღებულ ნერვების ომში დაიოკეს ემოციები და შედეგიანად ტყორცნეს საჯარიმოები.

მოკლედ, პროგრამა – მინიმუმი შესრულებულია და აწი უშუალოდ ჩვენს ხელშია აქამდე აუხდენელი ოცნების ახდენა.

დანარჩენი შედეგები: იტალია – ესპანეთი 84:88 (დამატებით დროში, ძირითადი დრო – 70:70), ნიდერლანდები – უკრაინა 77:96..

სატურნირო მდგომარეობა: ესპანეთი – 6, იტალია – 5, საქართველო, ისლანდია – 4-4, უკრაინა – 2, ნიდერლანდები – 0 მოგება.

დღეს ითამაშებენ: საქართველო – იტალია (19 სთ, თბილისი არენა), უკრაინა – ისლანდია, ესპანეთი – ნიდერლანდები.

◎ ყატარი – 2022

დავჭკბეთ სანახაობით!

რაღა დარჩა? – არც არაფერი. დიახ, რამდენიმე დღეც და ყატარში დაიწყება მსოფლიოს მორიგი საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელიც პირველად იმართება შემოდგომა-ზამთრის მიჯნაზე.

მართალია, მომავალ ერთთვიან ფორუმს პოგბას, კანტეს, ჟოტას, დიბალას, ლო სელსოს, ვერნერის, მანესა და მთელი რიგი სხვა ვარსკვლავების, აგრეთვე იტალიის ნაკრების სახით ბევრი დააკლდება, მაგრამ ზეიმი მაინც ზეიმია, ჰოდა, ჩვენც გთავაზობთ მის კელენდარს.

„ა“ ჯგუფი. 20 ნოემბერი. ყატარი-ეკვადორი. 20.00. 21 ნოემბერი. სენეგალი – ჰოლანდია. 20.00. 25 ნოემბერი. ყატარი – სენეგალი. 17.00. ჰოლანდია – ეკვადორი. 20.00. 29 ნოემბერი. ეკვადორი – სენეგალი. 19.00. ჰოლანდია – ყატარი. 19.00.

„ბ“ ჯგუფი. 21 ნოემბერი. ინგლისი – ირანი. 17.00. აშშ – უელსი. 23.00. 25 ნოემბერი. უელსი – ირანი. 14.00. ინგლისი – აშშ 23. 00. 29 ნოემბერი. უელსი – ინგლისი. 23.00. ირანი – აშშ. 23.00.

„გ“ ჯგუფი. 22 ნოემბერი. არგენტინა – საუდის არაბეთი. 14.00. მექსიკა – პოლონეთი. 20.00. 26 ნოემბერი. პოლონეთი – საუდის არაბეთი. 17.00, არგენტინა – მექსიკა. 23.00. 30 ნოემბერი. პოლონეთი – არგენტინა. 23.00. საუდის არაბეთი – მექსიკა. 23:00.

„დ“ ჯგუფი. 22 ნოემბერი. დანია – ტუნისი. 17.00. საფრანგეთი – ავსტრალია. 23.00. 26 ნოემბერი. ტუნისი – ავსტრალია. 14.00. საფრანგეთი – დანია. 20.00. 30 ნოემბერი. ავსტრალია – დანია. 19.00. ტუნისი – საფრანგეთი. 19.00.

„ე“ ჯგუფი. 23 ნოემბერი. გერმანია – იაპონია. 17.00. ესპანეთი – კოსტა რიკა. 20.00. 27 ნოემბერი. იაპონია – კოსტა რიკა. 14.00. ესპანეთი – გერმანია. 23:00. 1 დეკემბერი. იაპონია – ესპანეთი. 23.00. კოსტა რიკა – გერმანია. 23.00.

„ვ“ ჯგუფი. 23 ნოემბერი. მაროკო – ხორვატეთი. 14.00.: ბელგია – კანადა. 23.00. 27 ნოემბერი. ბელგია – მაროკო. 17.00. ხორვატეთი – კანადა. 20.00. 1 დეკემბერი. ხორვატეთი – ბელგია. 19.00. კანადა – მაროკო. 19.00.

„ზ“ ჯგუფი. 24 ნოემბერი. შვეიცარია – კამერუნი. 14.00. ბრაზილია – სერბეთი. 23.00. 28 ნოემბერი. კამერუნი – სერბეთი. 14.00. ბრაზილია – შვეიცარია. 20.00. 2 დეკემბერი. სერბეთი – შვეიცარია. 23.00. კამერუნი – ბრაზილია. 23.00.

„თ“ ჯგუფი. 24 ნოემბერი. ურუგვაი – კორეა. 17.00, პორტუგალია – განა. 20.00. 28 ნოემბერი. კორეა – განა. 17.00. პორტუგალია – ურუგვაი. 23.00. 2 დეკემბერი. განა – ურუგვაი. 23.00. კორეა – პორტუგალია. 23.00.

მერვედფინალები: 3-6 დეკემბერი.
მეოთხედფინალები: 9-10 დეკემბერი.
ნახევარფინალები: 13-14 დეკემბერი.
მატჩი მესამე ადგილისათვის: 17 დეკემბერი.
ფინალი. 18 დეკემბერი.

◎ სისხლის ყივილი

ფეხბურთის სამშობლოშიც, ოკეანის გაღმაც...

თორნიკე ჩუბინიძე გაგრაში დაიბადა და გაიზარდა, თუმცა, გასული საუკუნის საბედისწერო 90-იან წლებში შექმნილმა ვითარებამ მალევე დაასრულებინა აქტიური მოთამაშის კარიერა.

სამაგიეროდ, ვაჟებს შეაყვარა ფეხბურთი, ორივეს ბავშვობიდანვე ჩაუნერგა სამშობლოს გრძნობა განსაკვირველი, მართლმადიდებლებად ჩამოაყალიბა და ნათლიებიც ქართველები შეურჩია.

რაც შეეხება გატაცებას, უფროსი – დავითი ადრევე შეეშვა ვარჯიშს, უმცროსი – 15 წლის გიორგი კი უკვე სამი სეზონია პრემიერლიგის ბინადარ „ბორნმუთის“ აკადემიაში დაოსტატების შემდეგ ამ კლუბის ასაკობრივი გუნდის სპორტულ ღირსებას იცავს და ერთი წლით უფროსებში 12 შეხვედრა ჩაატარა წარმატებით.

აღსანიშნავია, რომ ასევე მოასწრო მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთებაც – დედით პორტუგალიელმა მარჯვენაფლანგელმა, რომელიც ორივე ფეხით სრულფასოვანი შემსრულებელია, გადაწყვიტა მომავალი „ჯვაროსნებს“ დაუკავშიროს. დიახ, **გიორგი მანუელ გონსალვეშ ჩუბინიძემ** უკვე მოირგო საქართველოს როგორც 16, ისე 17-წლამდელთა ნაკრების მაისური და მონტენეგროელებს გოლიც გაუტანა. არადა, მისით სერიოზულად იყო დაინტერესებული ინგლისელ თანატოლთა ნაკრების ხელმძღვანელობა.

მეტიც, ერთი კვირის განმავლობაში ინტენსიურად სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს, მალე ენობრივ ბარიერსაც დაძლევს და... რაც შეეხება რჩეულებს, ასეთებად „მანჩესტერი“ და რონალდუ მიაჩნია.

* * *

ძმები დათუნაიშვილები ქართულ ფეხბურთში გამორჩეული ნახევარმცველები იყვნენ, მაგრამ კარგახანს „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტან გიორგის ტრავმის გამო მალევე მოუწია კარიერის დასრულება, რადგან „მერანში“ თამაშისას სამი შვილის მამას ოპერაცია არ დაუფინანსეს და კონტრაქტი გაუუქმეს.

რაც შეეხება საქართველოს ორგზის ჩემპიონს, დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასისა და ქვეყნის სუპერთასის ორგზის მფლობელ 37 წლის **პაატას**, რომელიც ერთ დროს ახალგაზრდული ნაკრების წევრიც იყო და „ვიტ ჯორჯიაში“, ქუთაისის „ტორპედოში“, საჩხერის „ჩიხურაში“, „სამტრედიაში“, რუსთავის „ოლიმპში“, „ზუგდიდში“, „ცხინვალსა“ და ფოთის „კოლხეთში“ უთამაშია, უკვე მეათე წელია ამერიკაში მოღვაწეობს, სადაც ჯერ უკრაინელებთან ერთად დააარსა ქართული საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია – ბრუკლინი“, რომელიც ამჟამად დამოუკიდებლად განაგრძობს ფუნქციონირებას „ვიპ ვიტ ჯორჯიას“ გუნდის სახელით.

მისი წევრები სამშობლოდან ოკეანის გაღმა საცხოვრებლად წასული ოჯახების შვილები არიან, რომლებიც იქაური ქალაქებისა და შტატების პირველობებში მონაწილეობენ. აღსანიშნავია, რომ სკოლის 3 ლოკაციაზე 300 ბავშვი ვარჯიშობს – 200 ბრუკლინში, 60 ნიუ ჯერსიში და 40 მაიამიში. პერსპექტივაში ფილიალის გახსნა ფილადელფიაშიცაა ჩაფიქრებული, სადაც მოზარდებთან გიორგი იმუშავებს. სხვათა შორის, იგი ახლო წარსულში ნორჩ თანამემამულეებს მასტერკლასებს უმცროს ვიტალ დარასელიასთან ერთად უტარებდა...

ორიოდე სიტყვით

ფარიკაობა

ალუჩირი. მსოფლიოს თასის გათამაშება. ხმალი. **ოქრო** – სანდრო ბაზაძე (კარიერაში მეოთხედ!). შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ოლიმპიურმა იმედმა წლეულს ევროპის ჩემპიონატიც მოიგო.

ფუტსალი

ევრო – 2023-ის საკვალიფიკაციო ტურნირი. საქართველო – ავსტრია 6:4. გოლები: ბრუნოპეტრი – 4, თალესი – 2. ამავე მეტოქეს „ჯვაროსნებმა“ სტუმრად 6:2 მოუგეს და ჯგუფური ეტაპის შემდეგ ვადამდე გავიდნენ მეინ-რაუნდში. ბოლო მატჩს **ავთანდილ ასათიანის** გუნდი ბელგიაში გამართავს.

რაგბი

ნოემბრის ტესტები. საქართველო – სამოა 19:20. ეს იყო კუნძულელებთან ბორჯღალოსანთა მეექვსე მატჩი და მეორე მარცხი, არადა გამარჯვების შემთხვევაში საერთაშორისო რეიტინგში მე-11 პოზიციამდე დავწინაურდებოდით. მასპინძლები **აბუანდაძის** გაცუდებულმა გარდასახვებმა და საჯარიმოებმა დააღალატა. 19 ნოემბერს 17 საათზე კარდიფში უელსს ვეთამაშებით.

ქალთა მსოფლიო თასი. ფინალი. ახალი ზელანდია – ინგლისი 34:31.

ფეხბურთი

იტალიის „სერია – ა“. XV ტური. ნაპოლი – უდინეზე 3:2. გამარჯვების გოლი უკვე ზედიზედ მეორედ კვარას შემცვლელმა ელმასიმ გაიტანა.

ასე რომ, ლუჩანო სპალეტის გუნდი დიდი უპირატესობით გავიდა სამუნდიალო შვებულებაში. 4 იანვარს იგი ინტერს უმასპინძლებს.

გაიზარდა მოთხოვნა ქართულ პასპორტებზე!

(მეხუთე გვერდიდან) **„ეს ჩვენთვის ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს“,** – უთხრა სტუმრებს ტუუგამ.

„ევროკავშირის გადაწყვეტილება არ არის მიმართული აფხაზეთის მოსახლეობის წინააღმდეგ და უკავშირდება რუსეთის პოლიტიკას“, – ასე ციტირებენ ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს, ტოივო კლაარს აფხაზური წყაროები.

გაუფასურებული რუსული პასპორტი აწუხებთ ცხინვალის რეგიონშიც. რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი, ადგილობრივი, მსოფლიოს მიერ აუღიარებელი მოქალაქეობის გარდა, რუსეთის მოქალაქეობასა და რუსულ პასპორტებსაც ფლობს.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე აცნობიერებენ, რას კარგავენ რუსეთის პოლიტიკის გამო!

„ევროპული ქვეყნები აფხაზეთს არ ცნობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსული პასპორტების დახმარებით ხალხს შეეძლო ევროპაში გამგზავრება, ნათესავებთან შეხვედრა. ჩვენი სტუდენტები სწავლობდნენ ევროპაში, ხალხს შეეძლო ემოგზაურა ევროპაში, მიზესკავშირების გასაგმელად ჩასულიყვნენ და ა.შ. ახლა კი გამოდის, რომ აფხაზეთი მოწყვეტილია ევროპას და პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოს. ცხადია, გარდა მცირე რაოდენობის იმ ქვეყნებისა, რომლებიც აღიარებენ ჩვენს პასპორტებს“, – ამბობს ერთ ერთი რესპონდენტი გამოკითხვაში, რომელიც რადიო თავისუფლების რუსულენოვანი პროგრამის, „ეხო კავკაზას“ კორესპონდენტმა ახლახან სოხუმის ქუჩაში ჩაატარა.

ცხინვალში ჩატარებული ასეთივე გამოკითხვა აჩვენებს, რომ იქაურებს არა მხოლოდ ევროპაში გამგზავრების, არამედ თურქეთსა თუ სომხეთში გამგზავრების პერსპექტივის გაქრობა და სრული იზოლაციაც აშინებთ, რადგან ევროკავშირმა მათი პასპორტები პრაქტიკულად ძალადაკარგულად გამოაცხადა.

540 ხმით 6-ის წინააღმდეგ – რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემული სამგზავრო დოკუმენტებით გადაადგილების აკრძალვას ევროპარლამენტმა ოქტომბერში დაუჭირა მხარი და ევროკომისიას სპეციალური ბაზის შედგენისკენაც მოუწოდა.

მანამდე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ელჩები შეთანხმდნენ, რომ საქართველოსა და უკრაინის ოკუპირებულ რეგიონებში გაცემული რუსული პასპორტების მფლობელებს არ მისცენ შენგენის ზონის ვიზა და აქედან გამომდინარე – მოგზაურობის უფლება.

ევროკავშირის ევროპული საბჭო **10 ნოემბრის განცხადებაში** განმარტავს, რომ ეს გადაწყვეტილება უპასუხებს რუსეთის **„არაპროვოცირებულ და გაუმართლებელ სამხედრო აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ“** და „ეს შედეგია ასევე რუსეთის ცალმხრივი გადაწყვეტილებისა **2008 წელს საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ“.**

უკრაინაში შეჭრის შემდეგ, რუსეთის პასპორტები დასავლეთში ისედაც გაუფასურდა. ევროკავშირმა სრულად შეაჩერა რუსეთთან გამარტივებული სავიზო რეჟიმი და ევროპის ქვეყნები რუსეთის მოქალაქეებს სამოგზაუროდ აღარ უშვებენ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იმუქრებიან კიდეც

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი, რუსეთში გაწვრთნილი, კრემლის მთავარი მოკავშირე – ინალ არძინბა ევროპული ფულით დაფინანსებულ პროგრამებს „ტვინის გამორეცხვასა“ და „ძირგამომთხრელ საქმიანობაში“ სდებს ბრალს. მაისიდან მან აფხაზეთში არაერთი ასეთი პროექტი დახურა და ცალკეული პირები პერსონა ნონგრატადაც გამოაცხადა.

„ერთი მხრივ, ისინი ახორციელებენ ვითომ ჰუმანიტარულ პროექტებს, მეორე მხრივ, არ ცნობენ აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაცემულ პასპორტებს. ეს, რა თქმა უნდა, ორმაგი სტანდარტების პოლიტიკაა, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. აშკარაა, რომ ყველა ამ ჰუმანიტარული პროექტისა და პროგრამის საბოლოო მიზანია საშინაო პოლიტიკაზე, ჩვენი მოქალაქეების ცნობიერებაზე გავლენის მოხდენა და აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური ვექტორის შეცვლა.

მეორეც, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ასეთი გადაწყვეტილებები აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაცემული პასპორტების არაღიარების შესახებ, გავლენას მოახდენს აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაზე, რომლებიც დაფინანსებას ევროკავშირიდან იღებენ“, – ამბობს არძინბა.

კონფლიქტოლოგი ზურაბ გენდიანიშვილი გვეუბნება, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა ადამიანებმა გამოსავლის ძიება თავადაც დაიწყეს და ბოლო კვირებში, პირადად მასაც, ცხინვალიდან შეკითხვებით არაერთი ნაცნობი მიმართავს.

„ამუამად ძალიან ბევრია ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან ჩამოსული, საქართველოს პასპორტებისა და მოქალაქეობის მიღების იმედად.

ეს მოთხოვნა შეუდარებლად არის გაზრდილი ბოლო პერიოდში და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სიტუაცია გადატყდა და ყველამ დაინახა, როგორ გაუჭირდა რუსეთს უკრაინასთან ომში. მე ცხინვალის მიმართულებით მაქვს მჭიდრო კავშირები, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, აფხაზეთის მიმართულებითაც იგივე სიტუაციაა“, – ამბობს ბენდიანიშვილი და აღნიშნავს, რომ მისმა ორმა ნაცნობმა გასულ კვირაში განაახლა საქართველოს ძველი პასპორტები. ექსპერტი ასევე ამბობს, რომ გაზრდილი მოთხოვნა მას თანამდებობის პირმაც დაუდასტურა.

ამუამად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს საზღვარგარეთ გამგზავრება საქართველოს სახელმწიფოს მიერ გაცემული ე.წ. სტატუსნეიტრალური პასპორტების საშუალებითაც შეუძლიათ. თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, საქართველოს პასპორტი მათ მეტ შესაძლებლობას აძლევს.

ზურაბ ბენდიანიშვილს ეეჭვება, რომ საქართველოს სახელმწიფო პასპორტს იოლად აძლევს, ანდა უნდა აძლევდეს ნებისმიერ მსურველს ოკუპირებული ტერიტორიიდან, რადგან „ამ ხალხს ძირითადად საზღვარგარეთ სამუშაოდ უნდა წასვლა“ და შეუძლებელია „სახელმწიფომ პასუხისმგებლობა აიღოს ყველა იმ ადამიანის ნამოქმედარზე, რომელიც რუსეთის ოკუპაციას უჭერს მხარს“.

რას სთავაზობს თბილისი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს?

ამ შეკითხვით საგარეო საქმეთა სამინისტროს მივმართეთ, საიდანაც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში გადაგვამისამართეს, ხოლო იქ იუსტიციის სამინისტრო გვირჩიეს. იუსტიციის სამინისტროსაც მივმართეთ, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია.

ბენდიანიშვილი ფიქრობს, რომ შექმნილი ვითარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს კიდევ უფრო დააფიქრებს და მით უფრო ახლა, როცა უკრაინაში რუსეთის არმიის წარუმატებლობა სულ უფრო დამაჯერებელი ხდება.

ლელა კუნჭულია,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

განცხადება

2022 წლის 15 დეკემბერს, დილის 10 საათზე, დანიშნულია ს/ს თბილისის „ცენტროლიტის“ აქციონერთა საერთო კრება.

1. 2021 წლის ანგარიში.
2. დივიდენდების გაცემა.
3. სხვადასხვა.

სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 14 ნოემბერი.

მისამართი: ელ. ანდრონიკაშვილის ქ. №29

დღის წესრიგი: **ადმინისტრაცია**



გარდაიცვალა ნოდარ ნათაძე

93 წლის ასაკში გარდაიცვალა ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ერთ-ერთი ხელისმომწერი ნოდარ ნათაძე.

ნოდარ ნათაძე 1957-1963 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1963-1969 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1969 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე; 1990-1991 წლებში საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი.

ნოდარ ნათაძე იყო მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომის, მონოგრაფიის ავტორი.

საკუთარი პრინციპების ერთგული

მწუხარებას გამოვთქვამ ქართველი ენათმეცნიერის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ნოდარ ნათაძის გარდაცვალების გამო. მან თავისი განსაკუთრებული კვალი დატოვა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე საკუთარი ხელმოწერით მნიშვნელოვანი პირადი წვლილი შეიტანა ამ დიდ საქმეში.

ნოდარ ნათაძე იყო ადამიანი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა საკუთარი პრინციპების ერთგული, რითიც მრავალი თაობისთვის მაგალითის მიმცემი იქნება. თანავუგრძნობ მის ოჯახსა და ახლობლებს, – ნათქვამია პრემიერის სამძიმრის წერილში.

ირაკლი ღარიბაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თსუ პროფესორის, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ტელევიზიისა და რადიოს მიმართულების კათედრის პირველი გამგის

ნიკო ლეონიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებსა და სტუდენტებს.

ოქტომბრის თვის მონაცემებით, თბილისში 1 390 ბუნებრივი გაზის კუსტარული დანადგარი ჩაიხსნა

„თბილისი ენერჯის“ ინფორმაციით, ოქტომბერში კომპანიის სპეციალისტებმა დედაქალაქის მასშტაბით 1 390 კუსტარული და მკვლელი გაზის დანადგარი ჩახსნეს საცხოვრებელი ბინებიდან. საუბარია ღია კამერიან წყლის გამაცხელებლებზე ე.წ. კალონკებსა და სხვა კუსტარულად დამონტაჟებულ გაზის დანადგარებზე.

„ეს ნიშნავს, რომ ასეულობით ოჯახი CO-თი (ცეო) ინტოქსიკაციას და და ყველაზე მძიმე შემთხვევაში სიკვდილს გადარჩა. „თბილისი ენერჯი“ გთხოვთ, გამოიჩინოთ მაღალი პასუხისმგებლობა საკუთარი ოჯახის და მეზობლების უსაფრთხოებისთვის. დაიცავით გაზის უსაფრთხო მოხმარების აუცილებელი წესები (უსაფრთხოების შესახებ აუცილებელი წესები იხილეთ კომპანიის ვებგვერდზე te.ge, ასევე ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე).

აქვე ვავრცელებთ თბილისის ყველაზე საშიში უბნების სტატისტიკას გაზის კუსტარული დანადგარების მოხმარების და ჩახსნის მონაცემებით, სადაც პირველ ადგილზეა ისანი-სამგორი-ვაზისუბანი. ამ უბნებში ჯამში 517 კუსტარული დანადგარი ჩახსნეს „თბილისი ენერჯის“ სპეციალისტებმა. მათი დიდი ნაწილი განმეორებით ჩაიხსნა“, – აღნიშნულია „თბილისი ენერჯის“ ინფორმაციაში.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲩᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲚᲐᲛᲑᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲐᲕᲐᲓ

**გულისგულში მეწვიე,
სიყვარულის ანმანით.
ღმერთო, შენ შეეწიე
შენივ მადლით განმანილს.**

**თვალდახუჭულს, ნეტარი
სტვენა გიყვარს ადრიან,
ყვავილებს ხომ ნექტარით
რითმის ფიჭებს ადრიან...**

**აგეშალა გუდე და
აგივარდა პირქარი,
სიტყვამ, უფლის ხელითა,
გადაგწერა პირჯვარი.**

**ფრინველთ ენა შენად სცან,
კაცთ სიავეს ეცლები,
ფრთები ძირში რომ წაგჭრან,
სხვაში არ შემეცვლები.**

**მეც მინდოდა ჩემი ცა,
სად იყავი აქამდე,
შენიც არის, ჩემიცა,
რაც გულწრფელად გადამდე...**

**თეთრ ღრუბლებში მჯდომარევ,
გშვენის გულგულ-გალობა,
ჩიტიშვილო, ლექსის მდღვნად
ღირდა შენი ქალობა!**

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘ ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐᲖᲔ“...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ და ბალეტის თეატრში საქართველო-იაპონიის დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლის იუბილე აღინიშნა. საიუბილეო საღამოს კულტურის, მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, პარლამენტის წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

ღონისძიების პირველი ნაწილი დეთმო იაპონური ტრადიციული დასარტყამი ინსტრუმენტების ანსამბლს. მეორე ნაწილში კი თეატრის საბალეტო დასმა წარმოადგინა ალექსეი რატმანსკის ერთმოქმედებიანი ბალეტი „სიზმრები იაპონიაზე“.

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲓᲣᲔᲢᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲫᲦᲕᲔᲚᲝ ფონდის, „ცხოვრება მშვენიერია“ ორგანიზებით, სპორტის სასახლეში ლეგენდარული იტალიური ჯგუფის, Ricchi e Poveri-ს საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა.

შესრულდა ყველასათვის ცნობილი და საყვარელი ჰიტები. კონცერტი ბერი ანდრიას ფონდის შვილობილების დასახმარებლად ჩატარდა – ღონისძიებიდან შესული თანხა მთლიანად მოხმარდება ბერი ანდრიას ფონდის შვილობილების რეაბილიტაციას.

ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐᲝ...

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ პატრიარქი ბართლომე პირველი აცხადებს, რომ მართლმადიდებლების და კათოლიკეების მხრიდან არსებობს სურვილი, რომ აღდგომის ერთი თარიღი დაწესდეს. ამასთანავე, პატრიარქი ამბობს, რომ დეტალებზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

ეს განცხადება მსოფლიო პატრიარქმა სტამბოლში, კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახურებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გააკეთა. ეს დელეგაცია თურქეთში წმინდა პავლეს ცხოვრებასთან დაკავშირებული ადგილების მოსანახულებლად ჩავიდა. ბართლომეს თქმით, ის რომის პაპთან ერთად ამზადებს პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების 1700 წლის იუბილეს აღნიშვნას, რომელიც 325 წელს ნიკეაში გაიმართა. მისი თქმით, მაშინ იმ კრებაზე აღდგომის თარიღიც დადგინდა.

„სამწუხაროდ, უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში ამ თარიღს ჩვენ სხვადასხვა დღეს აღვნიშნავთ. მე და რომის პაპს ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გვსურს ამ პრობლემის გადაჭრა. შესაძლოა, ჯერჯერობით დეტალებზე საუბრის დრო არ იყოს, მაგრამ როგორც მართლმადიდებლების, ასევე, კათოლიკეების მხრიდან არსებობს სურვილი, რომ ქრისტეს აღდგომის ერთიანი თარიღი დაწესდეს“, – განაცხადა ბართლომემ.

დღეს მოქმედი წესით, კათოლიკური ეკლესია და მართლმადიდებელი ეკლესიების ნაწილი შობას 25 დეკემბერს აღნიშნავენ. მართლმადიდებელი ეკლესიების მეორე ნაწილი, მათ შორის საქართველოს ეკლესია შობას 6 იანვარს აღნიშნავს, რაც შეეხება აღდგომას, ეს თარიღი ყოველწლიურად იცვლება, მაგრამ განსხვავება მართლმადიდებელ და კათოლიკურ აღდგომას შორის ყოველთვის 2 კვირას შეადგენს.

ᲑᲠᲘᲣᲡ ᲣᲘᲚᲘᲡᲘᲡ ოჯახმა 2022 წლის მარტში დაადასტურა, რომ მსახიობს აფაზიის დიაგნოზი დაუდგინდა, ეს არის კონდიცია, როდესაც ტვინი აღქმისა და გადმოცემის უნარს კარგავს. განცხადება, ოჯახის წევრებმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს და აღნიშნეს, რომ ავადმყოფობის გამო უილისმა კინოკარიერა დატოვა.

ᲑᲠᲘᲣᲡ ᲣᲘᲚᲘᲡᲛᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲘᲜᲝᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ

ამჯერად ბრუს უილისის მდგომარეობის შესახებ ახალი ინფორმაცია მისმა მეგობარმა, მსახიობმა სილვესტერ სტალონემ Hollywood Reporter-თან ინტერვიუში გააჟღერა.

სტალონეს თქმით, უილისი ახლა ძალიან რთულ პერიოდს გადის და საზოგადოებას სრულებით მოწყვეტილია. **„მისი მდგომარეობა მკლავს. ძალიან სამწუხაროა“,** – განაცხადა სტალონემ.

ᲛᲘᲕᲠᲐᲚᲘ ᲡᲞᲘᲚᲝᲔᲑᲘ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ინდოეთის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლებმა რამდენიმე დღის წინ უცნაური მოვლენა შენიშნეს. მათი ლიქიორის კასრები გატეხილი და დაცარიელებული იყო, სპილოების ჯოგს კი იქვე მიწაზე ეძინა.

კეონიჯარის სოფლის მცხოვრებლებს სჯერათ, რომ სპილოების ჯოგმა კასრებიდან მოიპარა სასმელი, რომელმაც ისინი დაათრო და იქვე „გათიშა“. კასრებში ინდური ტრადიციული სასმელი „მაჰუა“ ფერმენტირდებოდა.

„ჯუნგლებში დაახლოებით დილის 6 საათზე წავედით იმისთვის, რომ „მაჰუა“ მოგვემზადებინა და აღმოვაჩინეთ, რომ ყველა კასრი დამტვრეული და ფერმენტირებული წყალი დაკარგული იყო. იქვე კი სპილოები ვიპოვეთ, რომლებსაც ღრმად ეძინათ“, – განაცხადა სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა.

ხალხმა სპილოების გაღვიძება ვერ შეძლო, ამიტომ დახმარებისთვის რეინჯერებს დაუძახეს, რომლებმაც დრამები მოიტანეს იმისთვის, რომ საკმარისად ხმამაღალი ბგერები გამოეცა და სპილოებს გაღვიძებოდათ.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲛᲐ მეცნიერებმა ისტორიაში პირველად ადამიანს ხელოვნური სისხლი გადაუსხეს. ლაბორატორიაში გამოყვანილი ერითროციტები ორმა ჯანმრთელმა მოხალისემ მიიღო. ტექნოლოგიის კლინიკური ცდები პროექტ Restore-ის ფარგლებში მიმდინარეობს.

ერითროციტები დონორთა ბაზიდან აღებული სისხლის ნიმუშებიდან გამოიყვანეს. პირველ ეტაპზე ბიომასალისგან ღეროვანი უჯრედები გამოყვეს, შემდეგ ეტაპზე კი მათი დიფერენცირება მოხდა. აღსანიშნავია, რომ ბუნებრივისგან განსხვავებით, ხელოვნური ერითროციტები ახალგაზრდაა - დონორთა სისხლში სხვადასხვა ასაკის უჯრედებია.

ხელოვნური ერითროციტების გადასხმა ანემიისა და სისხლის სხვა დაავადებების მქონე ადამიანებისთვის იქნება შესაძლებელი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲟᲐᲕᲨᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №170

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 16 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7179; ᲔᲕᲠᲝ - 2.7910
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.1903;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4843; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1465;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6022;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.8634.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 14 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+4,	ᲓᲦᲔ	+16
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	0,	ᲓᲦᲔ	+13
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+7,	ᲓᲦᲔ	+16
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+2,	ᲓᲦᲔ	+13
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+7,	ᲓᲦᲔ	+14

ᲓᲐᲑᲔᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge